# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ხუთშაბათი, 15 აგვისტო 1996 №80 (305) · ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხვალიდან! ახალი, სულ ცოტა 50 მატჩიანი სერიალი: პატარა ქინქლა დიდ ინგლისში ამჯერად ყაველასთან ერთად

ხვალ „მანჩესტერ სიტისა“ და „იფსვიჩ თაუნის“ მატჩით ინგლისში ახალი საფეხბურთო სეზონი იხსნება. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს გიორგი ქინქლაძეს ამჯერად მიხეილ ყაველაშვილიც შეეშველება და ორივე ერთად „მანჩესტერ სიტის“ პრემიერლიგაში დაბრუნებას შეეცდება. „სიტის“ მანჩესტერელ ქომაგებთან ერთად ჩვენც არანაკლები ღელვა მოგველის. თუმცა, თუკი ვინმე იღელვებს და ინერვიულებს, ეს, რა თქმა უნდა, კლუბის თავმჯდომარე ფრენსის ლი იქნება. სხვა თუ არაფერი, მან უნდა გაამართლოს „სარბიელის“ მკითხველებისათვის მიცემული სიტყვა — გაისად „სიტის“ პრემიერლიგაში განახებთო.



**ფრენსის ლიმ დანაპირები კეთილი სურვილებითა და ხელმოწერითაც დაგვიდასტურა:**




## აშვეთიას „ტორპედო“ არ უშვებს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრის მიხეილ აშვეთიას ამასწინანდელი ნათქვამი — „კოლხეთში“ გადავდივარო, როგორც გაირკვა, მხოლოდ მისი და ფოთელთა სურვილი ყოფილა. „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტის ვახტანგ ხაინდრავას თქმით, აშვეთიას გაშვებას ქუთაისის „ტორპედო“ ჯერ არ აპირებს და მას ალბათ წელსაც „ტორპედოში“ ვიხილავთ. ქუთაისელთა არგუმენტი გახლავთ ის, რომ აშვეთიას „ტორპედოსთან“ სამწლიანი კონტრაქტი არ დასრულებია.

## ქართველი „პაოკშიც“ ითამაშებს

ორი თვის წინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მარცხენა მცველი დავით კარიაული სალონიკის პაოკში გაემგზავრა გასასინჯად. იქ მის გარდა კიდევ 70 ადგილობრივი თუ უცხოელი ფეხბურთელი ისინჯებოდა. ამათგან მწვრთნელმა მხოლოდ ოთხი მოთამაშე დაიტოვა. ერთ-ერთი მათგანი ქართველი მცველიც აღმოჩნდა, რომელმაც პაოკთან უკვე გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი.

## დიეგოს აღარ უნდა ნარკომანობა




დიეგო მარადონა შვეიცარიას ჩაფრინდა, სადაც ჟენევის ტბის პირას მდებარე „ლა პრაირის“ კლინიკაში ნარკომანობისგან თავის დაღწევას ეცდება. ჟენევის აეროპორტში იგი თანამგზავრებს უღიმოდა, ბავშვებს ეთამაშებოდა და ჟურნალისტებს ეხუმრებოდა, მაგრამ შვეიცარიაში ჩასვლის მიზეზზე საუბარს თავი აარიდა. ადგილობრივმა ტელევიზიამ განაცხადა, რომ დიეგო კლინიკაში დეტოქსიფიკაციისთვის მივიდა. დეტალებზე არც კლინიკის თანამშრომლებმა თქვეს რაიმე. პრეს-მდივანმა ქალმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ისინი პაციენტთა არც ვინაობას ამხელენ და არც მათი მკურნალობის წესს.

მარადონა ნარკომანობაზე ორჯერ გამოიჭირეს. ერთხელ იტალიაში 1992 წელს, როდესაც დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს, მეორედ კი მოგვიანებით არგენტინაში, სადაც ლამის იყო ციხეში ჩასვეს.

— „მითხრეს, რომ თუ იქ ვიმკურნალებ, 80 პროცენტით გარანტირებული ვიქნები. დანარჩენი ჩემს ვაჟკაცობაზე იქნება დამოკიდებული. ეს კლინიკა ერთმა მეგობარმა მიმასწავლა. საქმე ისაა, რომ არგენტინელი ექიმები განკურნვის ნაცვლად გაყვლეფას ცდილობენ, თან არც იციან, რა ძნელია დეპრესიისა და წამალზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა.“ დიეგოს გეგმა ასეთი ყოფილა. 12 დღიანი მკურნალობის შემდეგ იგი კანადას გაემართება, შემდეგ კი კუბაში ჩავა, სადაც ოლიმპიადის მონაწილე სპორტსმენებს მოინახულებს.

— ამერიკაში მინდოდა ჩასვლა, მაგრამ ქვეყანაში არ მიშვებენ, ამიტომ კუბაში ჩავფრინდები — თქვა მან.

## შვეიცარიას ახალი მწვრთნელი ჰყავს

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ მათი ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა როლფ ფრინგერი. ფრინგერი „შტუტგარტს“ ედგა სათავეში, მაგრამ შვეიცარიელთა თხოვნით კლუბმა გაანთავისუფლა.

ახალი მწვრთნელი 39 წლისაა. იგი ავსტრიაში დაბადებული შვეიცარიელი გახლავთ. ფეხბურთელისა და მწვრთნელის კარიერა 1995 წლამდე შვეიცარიაში აქვს გატარებული. 95-ში კი „შტუტგარტში“ გადავიდა. ფრინგერის კონტრაქტი 1998 წლის 30 ივნისამდე გაფორმდა. ამრიგად ცნობილია, თუ ვინ უხელმძღვანელებს შვეიცარიელებს 31 აგვისტოს ბაქოში აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ.

## დავაბრუნებ!

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ემე ჟაკემ, რომელსაც იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ ინგლისში ევროპის ჩემპიონატზე უსახური თამაშის მიუხედავად, წინა კვირაში გუნდი კიდევ ორი წლით ანდო, განაცხადა, რომ მზადაა სამფეროვანთა რიგებში დააბრუნოს ინგლისში მოთამაშე ორი ვარსკვლავი — ერიკ კანტონა და დავიდ ჟინოლა.

— მე ვიცნობ მათ. ვიცი, ისინი როგორ გამოვიყენო — თქვა ჟაკემ — მართალია ამ წუთს სამომავლო ნაკრებს ვქმნი, მაგრამ სულელი არ ვარ და იმიტომ ვმუშაობ, რომ შეძლებისდაგვარად საუკეთესო გუნდი გამოვიყვანო.

ჟაკე თავისი ფავორიტებით, ჯორკაეფით და ზიდანით თითქოს ოდნავ უკმაყოფილო იყო. მათ უნდა გააანალიზონ ინგლისში მომხდარიო, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს. მწამს, ისინი ერთად კვლავ კარგად ითამაშებენო.

# რა უნდა ფოცხვერიას?

ბათუმში უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთან სათამაშოდ ვლადიმერ გუცაევმა დონეცკის „შახტიორში“ მოთამაშე მიხეილ ფოცხვერიაც მოიწვია. მისით ჩვენში მას შემდეგ დაინტერესდნენ, როცა შეიტყვეს, რომ ბრემენის „ვერდერში“ იყო გასასინჯად წასული. მაშინ ფოცხვერია ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ გამოდიოდა, შემდეგ დონეცკის „შახტიორში“ გადავიდა. ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის გარდა ზუგდიდის „ოდიშიც“ ეცადა ფოცხვერიას გადაბირებას და უკრაინას მისი ნაცნობი გელა კვიტატიანი მიავლინა. მაგრამ ფოცხვერიას საქართველოში საკლუბო დონეზე თამაში შორს დაუჭერია. რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, აქ კი ჯერაც გაურკვევლობაა.

— 6-ში დილით ფოცხვერია დამიკავშირდა და მითხრა, სურვილი მაქვს, საქართველოს სახელით ვითამაშოო — გვამცნო ვლადიმერ გუცაევმა — კვლავ დამირეკა და, ფეხი ამტკივდა და ვერ ჩამოვალო, გამომიცხადა. ეს ჩემთვის გაუგებარია. ამიერიდან ფოცხვერია ჩემთვის ისეთივე მკვდარია, როგორც ზაზა ჯანაშია.

ეს გუცაევმა შეხვედრის წინა დღეს გვითხრა. იმავე დღეს ვესაუბრეთ უკრაინის ახალგაზრდულის მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე იაშჩენკოს: „ჩვენც გვსურდა ფოცხვერიას მიწვევა, მაგრამ მან კატეგორიულად განგვიცხადა — მე ჩემი ისტორიული სამშობლოს ნაკრებში მსურს თამაშიო.“

შეიძლება ეს უთხრეს კიდეც უკრაინელებმა გუცაევს, ყოველ შემთხვევაში შეხვედრის შემდეგ გუცაევი ტონშეცვლილი მეჩვენა:

— შეიძლება, კიდევ დავუკავშირდე ფოცხვერიასო.

„შახტიორის“ წარმოშობით ქართველი თავდამსხმელის შესახებ ბათუმში ჩამოსულ უკრაინელ კოლეგას იგორ ლინიკსაც დავეკითხე. იგი უკრაინაში ყველაზე მრავალტირაჟიან სპორტულ გამოცემას „კომანდას“ წარმოადგენდა: „მართალია, ფოცხვერიამ უკრაინის ნაკრებში თამაშზე უარი თქვა, და საქართველოს ნაკრების ღირსების დაცვა მსურსო, განაცხადა, მაგრამ არის ერთი ვარიანტიც, რომელზეც ის არ საუბრობს. წელს მას „როტორში“ გადასვლა შესთავაზეს, და ალბათ წავა კიდეც რუსეთში. „როტორში“ თუ არა, სხვაგან მაინც. არ არის გამორიცხული, გულის სიღრმეში რუსეთის ნაკრებში თამაშზეც ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, რატომ არ ჩამოვიდა ბათუმში, ვერ გეტყვით, თუმცა კი, ითქვა, ტრავმა აწუხებსო. ისე, ფოცხვერია მართლაც კარგი ფეხბურთელია. წელს „მეტალურგში“ 8 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა. დღეს ხომ ნახეთ, რა ძლიერი თავდასხმა გვყავდა. ჩემი აზრით, ის უკრაინის ნაკრებს კიდევ უფრო გააძლიერებდა. ამიტომაც სურთ იგი რუსეთის გუნდებს და ალბათ, ნაკრებსაც“.

უკრაინელი ჟურნალისტის ვარაუდი, რომ ფოცხვერია თავს არიდებს უკრაინისა და საქართველოს ნაკრებებში თამაშს, ლოგიკურად გამოჩნდება, თუ 13 აგვისტოს „სპორტ-ექსპრესს“ გადავფურცლავთ. უკრაინის ჩემპიონატის მეხუთე ტურის შეხვედრაში, რომელიც ბათუმში ჩატარებული ამხანაგური შეხვედრისა არ იყოს, 11 აგვისტოს გაიმართა, „შახტიორის“ შემადგენლობაში ვითომცდა ტრავმირებულმა ფოცხვერიამ ითამაშა. თუმცა კი, იგი 64-ე წუთზე მართლაც ტრავმის გამო შეცვალეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# გვენცაძეს შინ ჯდომა ემუქრება

როგორც ზესტაფონის „მარგვეთის მეკარემ ვეფხია გვენცაძემ გვითხრა, იგი „მარგვეთიდან“ წასვლას აპირებს . მისი თქმით, კლუბი ვერ უსრულებს შეპირებულს და იძულებულია, I წრე სახლში მჯდომმა გაატაროს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ რუსეთის რომელიმე კლუბშიც მოახერხოს გადასვლა. გვენცაძე „შლემასთან“ პირველი თამაშისას დაშავდა და მას შემდეგ „მარგვეთში“ მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩში.

ჩვენთვის უცნობია ზესტაფონელთა პრეზიდენტის ვასილ ხაჭაპურიძის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ერთი ფაქტია: გვენცაძისნაირი მეკარე დღეს ჩვენს ჩემპიონატში ბევრი არ თამაშობს და მისი უგუნდოდ დატოვება საცოდაობა იქნება. თანაც, ამით ვერც „მარგვეთი“ იხეირებს, თავად გვენცაძეს რომ თავი დავანებოთ.

# ახალი პრეზიდენტის საიდუმლოებანი

ყოველი ახალი პრეზიდენტი ახალ მიზანს ისახავს. ასევეა „ბათუმში“ ჩვენებური სუპერთასის მატჩამდე მისული დავით კლდიაშვილი, აჭარის საგარეო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი და ვაჭრობის ყოფილი მინისტრი. ბათუმში ყოფნისას ახალი პრეზიდენტი მოსვენებული არ მინახავს: ან სტუმრებს იღებდა, ან სტადიონზე სამუშაოების მსვლელობას ადევნებდა თვალყურს, ანაც სხვა ათას საქმეს აგვარებდა.

— უპირველეს მიზნად ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას მივიჩნევ. დღეს ამაზე ვმუშაობთ და ვეძებთ კიდეც პერსპექტიულ ფეხბურთელებს. სხვაგვარად გუნდში ჩემს მოსვლას აზრიც არ ექნება. ჩვენი სურვილია, გავაძლიეროთ გუნდის ფინანსური ბაზა, რათა ფეხბურთელები მატერიალურად დავაინტერესოთ. ბოლოსდაბოლოს, ბათუმში ძლიერი, კონკურენტუნარიანი გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოთ. და არა მარტო ჩვენ, სხვებიც საამისოდ უნდა ილვწოდნენ. სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია ქართული ფეხბურთის განვითარება. ამჟამად უცხოეთში 200-მდე ქართველი ლეგიონერია. ჩვენი გუნდების ფინანსური გაძლიერებით ფეხბურთელთა ემიგრაცია შეწყდება. ეს კი საშუალებას მოგვცემს, რაც შეიძლება სწრაფად დავიბრუნოთ ის დონე, რომელიც ამ თხუთმეტიოდე წლის წინ გვქონდა.

**— თქვენ ვაჭრობის მინისტრად ყოფნისას თურქეთის მხარესთან საქმიანი ურთიერთობაც გყავშირებდათ. ამ კავშირებს, ალბათ, გუნდის ინტერესებისთვისაც გამოიყენებთ. ვგულისხმობ შეკრებებისა და ამხანაგური შეხვედრების მოწყობას.**

— ორი წლის წინ, როცა გუნდში არ ვიყავი, ორი შეკრება მოვაწყვე თურქეთში. იქ „ბათუმმა“ ამხანაგური მატჩებიც გამართა. რა თქმა უნდა, ახლაც იქნება შეკრებები და თამაშები. მაგრამ არა მხოლოდ თურქეთში — რუსებთანაც უნდა ალვადგინოთ ტრადიციული კავშირები. ამით გუნდი გაძლიერდება.

**— თქვენ, ბუნებრივია, გუნდის შემოსავლების გაზრდაზე იფიქრებთ...**

— სტადიონის ტრიბუნების ქვეშ სავაჭრო ცენტრები შენდება. აქედან გუნდი დამატებით შემოსავალს მიიღებს. ალბათ, ამითაც გავძლიერდებით.

**— საუბრის დასაწყისში ბრძანეთ, რომ ძლიერი ფეხბურთელების მოწვევას აპირებთ. კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— კონკრეტულად არავის. უბრალოდ, არის ზოგადი მონახაზი, რომელსაც ჯერ საიდუმლოდ ვინახავთ.

**— როდის გაგვანდობთ ამ საიდუმლოს?**

— როდესაც ჩვენთვის სასურველ ფეხბურთელებთან კონტრაქტებს გავაფორმებთ!

**— ამას როდის აპირებთ?**

— ჯერ ვერც ამას გეტყვით.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბერიშვილი „მარგვეთში“ დარჩა

მალტელებთან მარცხის შემდეგ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს ზესტაფონის „მარგვეთს“ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი სტოვებდა. ერთ-ერთი მათგანი, ლევან ბერიშვილი „სამტრედიაში“ აპირებდა გადასვლას, მაგრამ ბოლოს პირი მაინც „მარგვეთისკენ“ იბრუნა და წელსაც ზესტაფონში ითამაშებს.

# დარასელია დაბრუნდა

პოლონეთის ჩემპიონ „ლეგიაში“ გასასინჯად მყოფი გიორგი დარასელია საქართველოში დაბრუნდა და ახლადაწყებულ სეზონში ფოთის „კოლხეთში“ გამოსვლა გადაწყვიტა. ამით „სამტრედია“ „კოლხეთს“ მისი გადმოყვანისთვის ჯერაც გადაუხდელ ვალს გაუსტუმრებს.

დარასელია ვარშავიდან „შლემა უონდერერზის“ პრეზიდენტს მალტაზეც კი გაჰყვა, მაგრამ გიორგის იქ თამაში ფიქრადაც არ გაუვლია.

# ფოფხაძე მინსკის „დინამოში“?

არაოფიციალური წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ რუსთავის „გორდას“ ყოფილი მარჯვენა მცველი ზურაბ ფოფხაძე მინსკში ჩასულა იქაურ „დინამოში“ გასასინჯად და დარჩენილა კიდეც. ამრიგად, ბელარუსის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ერთადერთ ქართველს ზვიად ბურძენაძეს, რომელიც ჭიათურის „მალაროელიდან“ გადავიდა ლიდას „ობუშჩიკში“ „ხმის გამცემი“ გაუჩნდა.

# გოგრიჭიანს ულხინს, ცხადაძეს უჭირს

რუსეთში მოასპარეზე ქართველებს ბოლო დროს დიდ ყურადღებას რომ ვუთმობთ, ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, ყველაზე მეტი ინფორმაცია სწორედ მათზე გვაქვს, თანაც, სამტრედიელი ბესიკ ამაშუკელის „ლადაში“ გადასვლით რუსეთის უმაღლეს ლიგაში ქართველთა რაოდენობა 15-მდე გაიზარდა. ტური არ გავა, რომელიმემ არ გამოიჩინოს თავი. ეს კი უფრო აცხოველებს ჩვენს გაზრდილ ინტერესს რუსეთის ჩემპიონატისა და მასში მონაწილე ქართველთა მიმართ.

ბოლო ტურების ერთ-ერთი ტრიუმფატორი უდაოდ გოჩა გოგრიჭიანია. კვიპროსის „პაფოსიდან“ დაბრუნებული ფეხბურთელი რუსებს კარგად ახსოვთ. მის ჩამოსვლასაც განსაკუთრებულად შეეხმიანნენ, რადგან არ დავიწყნიათ, გოჩამ კუნძულზე წასვლამდე I წრეში 13 გოლი რომ გაიტანა და „ომონიაში“ საუკეთესო ბომბარდირის რანგით წავიდა. ავანსების გასტუმრებას გოგრიჭიანმა მინიმალური დრო მოანდომა. პირველივე შეხვედრაში პენალტი „აჰკიდა“ მეტოქეს, მერე კი გატანაც დაიწყო. 9 მატჩში გოჩამ უკვე 4 გოლი შეაგდო. ბოლო შეხვედრაში სტუმრად დევაძის (ამის თქმის საშუალებას თავად კაკო ვერკი გვაძლევს) „როსტსელმაში“ გაამწარა. როსტოველები, რომელთა კარში რიპანი იდგა (დევაძე კი ოდენ სათადარიგოდ იყო განცხადებული), თავიდან 1:0 იგებდნენ, მაგრამ გოგრიჭიანმა სანკოს მიერ დარტყმულსა და მეკარისგან მოგერიებულს პირველმა მიუსწრო და ცხრიანში გაიტანა. ამ შეხვედრის ფრედ დამთავრებაში თავისი წილი კარგად მოთამაშე გოგიაშვილმა და შეცვლაზე შემოსულმა დათო ჯანაშიამაც დაიდეს. სამაგიეროდ, მათ ვერ ეხმარებოდა ზურაბ იონანიძე, რომელიც სათადარიგოთა სკამს ხეხავდა. მისი ბედის გაზიარება, ეტყობა, კარგა ხანს მოუწევს აკაკი დევაძესაც, რადგან როსტოველთა მწვრთნელის სერგეი ანდრეევის თქმით, რიპანთან მას განსაკუთრებული პრეტენზიები არა აქვს, რაკილა ძირითად შემადგენლობას ბრწყინვალედ შეერწყა. როგორც ჩანს, კრიზისს (ამას უფრო ადაპტაციის პერიოდი ეთქმის) ნელ-ნელა აღწევს თავს ზაზა ჯანაშია. მან ამასწინათ გოლიც გაიტანა და ბოლო შეხვედრაში „სპარტაკთან“ მეტად აქტიურიც იყო. მისმა გუნდმა ბოლო წუთებზე გაშვებული გოლის გამო წააგო, თორემ მთელი თამაშის მანძილზე საფიქრალი არ მოუკლია თანაქალაქელებისთვის. თავდაპირველად 0:2 რომ აგებდნენ, ამოქაჩეს და გაათანაბრეს, მერე კი მოსაგებად თამაში აღარ გარისკეს და დაისაჯნენ კიდეც. „ლოკომოტივის“ მიერ გატანილ ერთ გოლში ზაზამ უშუალო მონაწილეობა მიიღო, პირველი ბურთი სწორედ მისი ფლანგური გარღვევისა და საგოლე პასის შემდეგ გავიდა.

0:2 აგებდა ჩემპიონი „ალანიაც“. ვლადიკავკაზელებს დაეტყოთ შელიას არყოფნა და 2 ბურთი ხომ გაუშვეს, ამას ისიც დაერთო, რომ თეთრაძემ, თუმცკი, მისი თქმით, უნებლიედ, ხელით ითამაშა და ყვითელი ბარათი მისთვის ამ შეხვედრაში მეორე აღმოჩნდა. სამაგიეროდ, კარგად ითამაშა ოსთა წინა ხაზმა. მათ არ აგრძნობინეს თავიანთ გუნდს თეთრაძის გაძევება და ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. კანიშჩევმა და სულეიმანოვმა „ტორპედოს“ დაცვას ბევრი საფიქრალი გაუჩინეს და ამ უკანასკნელმა ორჯერაც დაამწუხრა მოსკოველები. პირველ გოლში რევიშვილმაც დაიდო წილი. 71-ე წუთზე ართმევისა და ფლანგზე გარღვევის შემდეგ საჯარიმოში კანიშევს მიაწოდა, ამის დარტყმულს და მეკარის მოგერიებულს კი აზერბაიჯანელმა დაამატა.

სხვა თამაშებში ქართველებს მონაწილეობის გარდა თავი ბევრი არაფრით გამოუჩენიათ. მართალია, მიშა ჯიშკარიანის „კამაზმა“ ბერაძის „ჩერნომორეცი“ 5:0 გაანადგურა, მაგრამ თავად მიშამ ორი ხელსაყრელი მომენტი რომ ვერ გამოიყენა, მას შემდეგ ოდენ აქტიურობდა და სულ ეს იყო, 5 გოლიდან კი ვერცერთი გაიტანა.

ჩერნომორეცელმა ბესიკ ბერაძემ მხოლოდ პირველ 24 წუთს ითამაშა. მთელი 90 წუთი დაჰყო მოედანზე ამ გუნდის ახალწვეულმა ბადრი სპანდერაშვილმა, მაგრამ ძალზე სუსტი ეთქმოდა. მას შემდეგ, რაც ოდინდელ ალაზნელს „კამაზის“ მეკარემ კარგად დარტყმული ჯარიმა აუღო, სპანდერაშვილმა მოედნის ცენტრში მეტოქეს ისეთი პასი მისცა, რომ ამერიკულ საფეხბურთო ლიგაში მიღებული ბულიტის მაგვარი გოლი გაატანინა.

კიდევ ერთ შეხვედრაშიც ორმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. ტოლიატის „ლადამ“ სტუმრად 0:1 წააგო „ტექსტილშჩიკთან“. ამ შეხვედრაში „ლადაში“ ახალაყვანილმა ბესიკ ამაშუკელმა ვასილ სეფაშვილი შეცვალა, მაგრამ თავი ვერც მან გამოიჩინა.

„კრილია სოვეტოვმა“ შინ 0:3 წააგო „როტორთან“. აქ ზურაბ წიკლაურმა ითამაშა, მამუკა მინაშვილი კი განაცხადშიც არ გამოჩენილა.

ბოლო ტურში ვერც მეორე ლიგელმა ქართველებმა ივარგეს. მანაგაძის, წიქარიშვილისა და ფორჩხიძის „ოკეანმა“ სტუმრად 1:3 წააგო „ჟუბანთან“. „იმერული ოთხეულის“ „ლუჩმა“ მაიკოპში „დრუჟბასთან“ ფრე გაახერხა, მაგრამ ამ შეხვედრაში ენდელაძეს არ უთამაშია და ერთადერთი გოლიც ქართველთაგან არცერთს არ გაუტანია.

დიდი ბრძოლა ჰქონდათ ხუნდაძის სტავროპოლის „დინამოს“ და გივი ნოდიასა და ტრიოს ხალახლადშობილ „ლოკომოტივს“. შეხვედრა ბოლო წუთამდე უგოლო გახლდათ და „დინამომ“ ფინიშზელა მოიგო. ამ მატჩში II ჯგუფის ბომბარდირის ვარლამ კილასონიასა და ოთხი ბურთით ჩამორჩენილი მისი მდევრის დუელს ელოდნენ, მაგრამ ვერც ქართველმა მოახერხა სხვაობის გაზრდა და ვერც მასლოვმა მისი შემცირება. ამ უკანასკნელმა მატჩის შემდეგ ვარლამს ასეთი შეფასება მისცა: „იგი ბრწყინვალე ფორვარდია, შესანიშნავად ფარავს ბურთს კორპუსით. საერთოდაც, მისგან ბევრის სწავლა შეიძლება“. თავად ვარლამს გუშინწინ 29 წელი შეუსრულდა, მაგრამ თავს ისე გრძნობს, როგორც 22 წლისას არ უგრძვნია. ერთადერთმა, ამ შეხვედრაში გამოკლებული გიორგი კილასონიას არყოფნამ შეაწუხა, რომელიც გაფრთხილებათა გამო სტოვებდა მატჩს.

ამ სეზონის წინ [illegible] გადელიას, ლამის იყო, უგუნდოდ დარჩენა დაემუქრა. ყოფილი „ცხუმელი“, სოხუმის დაცემის შემდეგ უკრაინულ [illegible] „[illegible]“ რომ უთამაშია, ამ გაზაფხულზე 6 თვით თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა მას შემდეგ, რაც საქართველოს ჩემპიონმა „სამტრედიასა“ და „მარგვეთს“ დაასწრო. გადელიამ „დინამოში“ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა, უფრო შეცვლებზე და შეეტყო, ძირითადს რომ ვერ „გაქაჩავდა“.

ახლახან შევიტყვეთ, რომ გადელია სარატოვის „სოკოლ-პჟდ“-ში აუყვანიათ კისლოვოდსკის „ოლიმპის“ ბოლო წლების ბომბარდირ პაატა ბერიშვილთან ერთად. შარშანდელ ჩემპიონატში ბერიშვილი არამარტო კისლოვოდსკელთა გუნდის, არამედ რუსეთის ჩემპიონატის II ლიგის დასავლეთი ზონის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო. ეტყობა, აქ მან კარგი სახელი დაიგდო, რაკილა I ლიგის „სოკოლ-პჟდ“-მ მიიწვია. და გუნდს დაეტყო ახალწვეულთა მისვლა. მართალია, ქართველებმა პირველ ორ მატჩში გოლი არ გაუტანიათ, მაგრამ ამ შეხვედრაში მათმა გუნდმა 4 ქულა მოაგროვა. ამ დუეტის სარატოვში გადასვლის შემდეგ ქართველთა რაოდენობა რუსეთის I ლიგაში 14-მდე გაიზარდა. თუკი „ლუჩის“ 4, „ოკეანში“ მოთამაშე 3, სანკტ-პეტერბურგში გივი ნოდიასთან მყოფი 3 და ზემოთ ხსენებული წყვილი ეულად არ არიან, ჯერ-ჯერობით მარტო ყოფნა უწევთ სტავროპოლის დინამოელ ხუნდაძესა და ნიჟნეკამსკის ნეფტეხიმიკელ კიკლიაშვილს. სხვათა შორის, სტავროპოლის გუნდში წინა წლებში მეკარე ზურაბ სანაიაც ირიცხებოდა, მაგრამ იგი არ ჩანს „დინამოს“ რიგებში და გოლის გატანის იშტაზე მოსულ ხუნდაძეს ვერაფრით ეხმარება. რაც შეეხება კიკლიაშვილს, მას, შესაძლოა, ყოფილი თანაგუნდელი გია გიგატაძე შეუერთდეს, რომელიც ჯერ-ჯერობით ტრავმას იშუშებს და ქუთაისის „ტორპედოში“ ვერ მოხვდა.

ახლა იმათაც გადავწვდეთ, ვინც ევროპის სხვა ქვეყნებში თამაშობენ და ვისმა გუნდებმაც უკვე დაიწყეს ეროვნული ჩემპიონატების დაბალ ლიგებში. ყველაზე მეტად, ცხადია, ცხადაძის ბედი გვაღელვებს. ნაკრების კაპიტანი კვლავაც ვერაა ფორმაში და I ტურში „ლუბეკთან“ სტუმრობისას უპატიებელი შეცდომაც მოუვიდა. მისი „აინტრახტი“ 1:0 იგებდა, მაგრამ ბოლო წუთზე კახიმ ბურთი თავის კარში ჩაჭრა და მატჩი ფრედ გაასრულა. მომდევნო შეხვედრაში ფრანკფურტელებმა კი გაიმარჯვეს, მაგრამ გერმანულ პრესას თუ ვენდობით (რუსულს თუ ვენდობით, მას რად არ უნდა ვენდოთ?) კახის კვლავ ცუდად უთამაშია.

ქათინაურებს არ იშურებს გერმანული პრესა სხვა ქართველისთვის, რომელსაც ახალგაზრდული ასაკის გამო ჩვენში ჯერ ნაკლებად იცნობენ. ყოფილი ცხუმელი მიხეილ საჯაია, რომელსაც „მრეტებშიც“ უთამაშია, გერმანიის ერთ-ერთ რეგიონალ ლიგაში თურმე სახწაულებს სჩადის და მისი გვარი სათაურშიც კი გააქვთ. ბოლო შეხვედრაში მისმა „აუგსბურგმა“ 4:0 მოიგო და ეს პირწმინდად მისი დამსახურება ყოფილა, თუმც კი გოლი არ გაუტანია. სამაგიეროდ, გოლის გატანა მისმა თანაგუნდელმა ვახტანგ იაგორაშვილმა შეძლო, რომელმაც 85-ე წუთზე საჯაია შეცვალა და თამაშის დამთავრებამდე დარჩენილი ხუთი წუთი მაქსიმალურად გამოიყენა. ყველა ქართველზე ასეთი სასიამოვნო ინფორმაციების მოწოდება შეგვეძლოს, ამას რა აჯობებდა, მაგრამ... თუმცა რა, ახლა ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატები იწყება და მივაყურადოთ ქინქლაძე-ყაველაშვილის, ქეცბაია-კარიაულის, ტყუპები-ნემსაძისა და ეგებ გახოკიძის ამბებსაც.



გოჩა გოგრიჭიანს გოლი გოლზე გააქვს



კახა ცხადაძეს უმძიმესი პერიოდი უდგას

# ხვალ ინგლისი იწყებს

## სეზონს ქართველები ხსნიან

**ხვალ ინგლისში სეზონი იწყება. ოთხივე ლიგის პირველობათა გახსნის მატჩად იქაურებმა პირველი დივიზიონის „მანჩესტერ სიტისა“ და „იფსვიჩის“ თამაში ირჩიეს, იგი შაბათიდან პარასკევს გადაიტანეს და SKY SPORT-ითაც გადასცემენ. ამგვარად, ალბიონზე ხანგრძლივ საფეხბურთო მარათონს ქართველი ლეგიონერების, გიორგი ქინქლაძისა და მიხეილ ყაველაშვილის გუნდი იწყებს. ყველა სხვა, საქმეში შაბათიდან ჩაებმება.**

ჩვენი ბიჭების გამო საქართველოში, შესაძლოა, უპირატესად „მანჩესტერ სიტის“ ამბები გვაინტერესებდეს, მაგრამ უპირატესი ყურადღება, რა თქმა უნდა, პრემიერლიგისკენაა მიპყრობილი. ეს ის ლიგაა, რომელმაც დიდძალი ფული იშოვნა და მსოფლიო ვარსკვლავების ყიდვას მიჰყო ხელი. ამ მხრივ მან, ვგონებთ, თვით იტალიის სერია A-ს ჩამოართვა პირველობა. ვინ აღარაა ამ ლიგაში: ფრანგი, ბრაზილიელი, ჰოლანდიელი, ყოფილი იუგოსლავიელი, რუმინელი, ბელგიელი, კოლუმბიელი, რუსი და სხვა. თვით იტალიელებიც კი. ყველა ჩამოთვლილ ქვეყანაში, ჩვენი არ იყოს, თავიანთი ბიჭების ამბავი აინტერესებთ და გარდა ამისა, ბუნებრივ ცნობისწადილს იწვევს იმ გუნდების თამაში, სადაც თანამედროვე ფეხბურთის დიდოსტატები არიან შეკრებილი.

სეზონის დაწყებამდე, ბოლო კვირაში, ყველაზე საინტერესო ამბავი ლონდონის „არსენალს“ შეემთხვა. ორშაბათს გადადგა მისი მწვრთნელი ბრუს რიოქი. უპატრონოდ დარჩენილმა ლონდონის პროლეტარიატის საყვარელმა გუნდმა, ცხელ გულზე ახალი თავკაცის ძიებას მიჰყო ხელი. პირველ ვარიანტად ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი მოსინჯეს. კრუიფი ხომ მაისში „ბარსელონიდან“ გაუშვეს და უგუნდოდაა, მაგრამ როგორც იუწყებიან, მას გული სამშობლოსკენ მიუწევს და შესაძლებელია როტერდამის „ფეიენოორდს“ ჩაუდგეს სათავეში. მეორე ვარიანტია 47 წლის არსენ ვენგერი, რომელიც იაპონიაში „გრამპუს ეითში“ მუშაობს და კონტრაქტით დეკემბრამდე იქ უნდა იყოს. ინგლისური ბულვარული პრესის თანახმად, ვენგერმა „არსენალში“ გადასვლაზე თანხმობა განაცხადა. იგი გახლავთ „მონაკოს“ ყოფილი ხელმძღვანელი, მწვრთნელი, რომლის გუნდშიც თამაშობდა ინგლისის ნაკრების ახალი თავკაცი გლენ ჰოდლი. ვენგერის სახელი ინგლისში, ამას წინათ, სწორედ ჰოდლმა წამოატივტივა, როდესაც თავის ყოფილ მწვრთნელს ნაკრების ტექნიკური დირექტორობა შესთავაზა.

— არსენი რომ არა, დღეს რაც ვარ, არ ვიქნებოდი — თქვა ჰოდლმა — „მონაკოში“ მასთან მუშაობამ მწვრთნელობისკენ წამაქეზა. სადაც იგია, იქაა წარმატებაც მჯერა, მისგან ბრწყინვალე ტექნიკური დირექტორი გამოვიდოდა, მაგრამ თუ მას საკლუბო დონეზე სურს მუშაობა, რას იზამ. ვენგერი იქაც წარმატებული იქნება.

აი ასე, უმწვრთნელოდ ითამაშა „არსენალმა“ ბოლო ამხანაგური მესამე დივიზიონის „ნორსემპტონთან“. ლონდონელებს მინდორზე მხოლოდ 4 ფეხბურთელი ჰყავდათ ძირითადი შემადგენლობიდან. ქვედალიგელებმა 3:1 მოიგეს. ანგარიში მე-6 წუთზე „არსენალის“ უელსელმა ჰარტსონმა გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმში გაშვებულმა სამმა გოლმა ყველაფერს წერტილი დაუსვა.

„ლიდს იუნაიტედმა“ ამ ზაფხულს ახალი მოთამაშეების შეძენაში უკვე 9 მილიონი გირვანქა დახარჯა, მაგრამ „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ გარემარბის, ტრევორ სინკლერის გადასაბირებლად კიდევ 4 მილიონს არ ინანებს. „ქუინზ პარკს“, რომელიც გასულ სეზონში პრემიერლიგიდან გავარდა, არ სურს ინგლისის 21 წლამდე ნაკრების ფეხბურთელის გაშვება, მაგრამ ასეთ ფულად, ეტყობა, მაინც მოუწევს.

— ჩვენი წინადადება მოქმედებს და როდესაც „ქუინზ პარკის“ ალმასრულებელი შეფი შვებულებიდან დაბრუნდება, ყველაფერს მოვაგვარებთ — თქვა პრეზიდენტმა ბილ ფოზერბიმ, რომელმაც უკვე შეიძინა ლი შარპი, ნიჯელ მარტინი და ლი ბაუერი.

„ლიდს“ სინკლერის შეძენა ასე ძლიერ იმიტომაც სურს, რომ ტონი იებოა ტრავმირებულია, მუხლი აქვს საოპერაციო და მისი შემცვლელი ესაჭიროება.

ტრავმებმა „ლივერპულიც“ შეაწუხა. ამის საპირისპიროდ მათაც შეიძინეს სტივ სტონტონი, რომელიც „ასტონ ვილაში“ თამაშობდა. ლივერპულელთა კიდევ ერთი პრობლემა ჩეხი პატრიკ ბერგერია. იგი დორტმუნდის „ბორუსიასგან“ იყიდეს. მაგრამ ჯერ ვერ ათამაშებენ, რადგან ფეხბურთელის საბუთები ქვეყნის განათლებისა და შრომის დეპარტამენტშია.

— იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი დროულად მოესწრება. არც იდიოტი ვარ და არც გიჟი, უბრალოდ უძლიერესი გუნდის შექმნისთვის ვიღწვი. განათლებისა და შრომის დეპარტამენტი შეძლებისდაგვარად გვეხმარება. მათ გაჯანჯლებული პროცედურის დასაჩქარებლად წერილი ფოსტის ნაცვლად ფაქსით გამოგვიგზავნეს. აწი თითები უნდა გადავაჯვარედინოთ და ვიცადოთ — თქვა გუნდის ალმასრულებელმა შეფმა პიტერ რობინსონმა.

„საუთჰემპტონს“ კი სატრანსფერო ტრიბუნალმა 500 ათასი გირვანქის გადახდა უბრძანა. ეს თანხა „სტოკ სიტის“ გრემ პოტერის შეძენისთვის უნდა ჩაურიცხოს. თავიდან შესატანი 250 ათასია, ხოლო პოტერის 10 თამაშის შემდეგ კიდევ 50 ათასი, 30-ის შემდეგ 100 და 50-ის შემდეგ ისევ 100 ათასი ექნება გადასახდელი.

ჩემპიონის ტიტულის სავარაუდო მაძიებლები, ფავორიტები „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ნიუკასლ იუნაიტედი“ კი დროს უქმად არ კარგავენ.

### ანდერლეხტი 1:2 ნიუკასლი

**ანდერლეხტი: დე ვილიეგერი, კატანა, პეირუმანსი (სტოიცა 61), ჯონსონი (დოლი 46), ნვანუ, ზასეჯო, ვალემი (ოლისე 61), მუსონდა, ბოფინი, პრეკო (ობიორა 46; ვან დე პაარი 80), დე ბილდე (იახტჩუკი 59)**

**ნიუკასლი: ჰისლოპი, უოტსონი (ბარტონი 80), პაუი, ალბერი, ბერესფორდი, გილესპი, ლი, ბეტი (კლარკი 80), ჟინოლა, ასპრილია (ბერდსლი 80), შირერი**

კვირას „ჩერითი შილდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 0:4 წაგების შემდეგ „ნიუკასლმა“ სასწრაფოდ ბრიუსელს მიაშურა და „ვან დენ სტოკის“ სტადიონზე „ანდერლეხტს“ მოუგო. როგორც ინგლისელთა მწვრთნელმა კევინ კიგანმა განაცხადა, მის გუნდს დაუყოვნებლივ სჭირდებოდა გამარჯვება, რათა სულით დაცემისგან თავი ეხსნა. მისი თქმით, „ანდერლეხტი“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ არაა, მაგრამ არც ისე სუსტია, რომ სტუმრად მისმა დამარცხებამ მორალურად არ დაგაკმაყოფილოს.

იმ საღამოს ნიუკასლელთა სენსაციური შენაძენი, მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი ალან შირერი 26 წლისა გახდა. საკუთარ დღეობაზე მან ორჯერ ლამის შეაგდო, მაგრამ ორივეჯერ მისი თაური მხოლოდ ამაღელვებელი გამოდგა. ამდენად კაცმა, რომლის ფასიც 15 მილიონი გირვანქაა, ახალ გუნდში ჯერ ერთი გოლი გაიტანა, ისიც პენალტით. სამაგიეროდ მან საგოლე პასებს დაუდო დასაბამი. მოწინაამდეგის დაცვის გამხლეჩი გადაცემით შირერმა კოლუმბიელ თანაგუნდელს ფაუსტინო ასპრილიას ანგარიში გაახსნევინა.

„ანდერლეხტმა“ მეორე ნახევარი ორი ცვლილებით დაიწყო, შემდეგ კიდევ ოთხი დასვენებული ფეხბურთელი შეიყვანა, მაგრამ სულ ერთი გოლის გატანა შეძლო. 58-ე წუთზე კეით გილესპიმ საჯარიმოში ჩარლზ მუსონდა წააქცია, რომელიც ჟილ დე ბილდეს პასით ძრიად სახიფათო პოზიციაში იმყოფებოდა. პენალტი დე ბილდემ ზუსტად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ წონასწორობა ორად-ორ წუთს გაგრძელდა. მე-60-ზე, ნიუკასლელმა ფანებმა, რომლებმაც, სახელდახელოდ, ბელგიურ პოლიციასთან შეტაკებაც მოახერხეს, მეორე გოლი იზეიმეს. „ანდერლეხტის“ კარი დავიდ ჟინოლამ დალაშქრა, რომელსაც სტივ უოტსონმა მიაწოდა საუცხოოდ.

### მანჩესტერი 0:1 ინტერი

ინგლისის ჩემპიონსა და თასის მფლობელს „მანჩესტერ იუნაიტედს“ კი გამხნევება არ ჭირდებოდა. მან ხომ მთავარ კონკურენტს „ნიუკასლს“ კვირას 4:0 მოუგო. ალექს ფერგიუსონის ამოცანაც, შესაბამისად, ალბათ უფრო გუნდის შეთამაშება და ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება იყო, ვიდრე ფსიქოლოგიური. თუმცა მატჩის შემდეგ იქნებ მანჩესტერელთა გულშიც დაიბუდა ეჭვმა. გუნდი ინგლისში შესაძლოა უძლიერესი იყოს, მაგრამ მას ჩემპიონთა ლიგაც აქვს სათამაშო, რაც ევროპულ გუნდებთან გაჯიბრებას ნიშნავს. აქ კი, თუ კვლავ ამხანაგურებით ვიმსჯელებთ, საქმე მთლად კარგად ვერ უნდა იყოს. აგერ, ორი კვირის მანძილზე ისინი ორჯერ შეხვდნენ „ინტერს“, ჯერ მილანში, შემდეგ კი შინ, „ოლდ ტრეფორდზე“ და ორივეჯერ წააგეს — იტალიაში 0:3, ხოლო მანჩესტერში 0:1.

ამ შეხვედრების ისტორია ის გახლავთ, რომ შარშან, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მილანელებს კაპიტანი პოლ ინსი მიჰყიდა, ზედ ოთხ ამხანაგურ შეხვედრაზეც შეუთანხმდა.

30 266 ქომაგის თვალწინ მასპინძლებმა მოზღურთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. ერთადერთი გოლი 63-ე წუთზე, თაურით, „ინტერის“ ჩილელმა თავდამსხმელმა ივან სამორანომ გაიტანა.

ბოლოს კი ამ ზაფხულის ინგლისური ტრანსფერების, ჩვენი აზრით, საყურადღებო ნაწილს გადავხედოთ:

| | | |
|---|---|---|
| ალან შირერი | ბლექბერნიდან ნიუკასლში | 15 მლნ გირვანქა |
| ფაბრიციო რავანელი | იუვენტუსიდან მიდლსბროში | 7 |
| რობერტო დი მატეო | ლაციოდან ჩელსიში | 5,5 |
| ემერსონი | პორტუდან მიდლსბროში | 4 |
| ალან სტაბსი | ბოლტონიდან სელტიკში | 3,5 |
| გერი სპიდი | ლიდსიდან ევერტონში | 3,5 |
| ფრანკ ლებეფი | სტრასბურიდან ჩელსიში | 2,5 |
| ფლორინ რადუჩოუ | ესპანიოლიდან ვესტ ჰემში | 2,4 |
| დინ სონდერსი | გალათასარაიდან ნოტინგემში | 1,5 |
| ოლე გურან სოლკსიარი | მიოლდედან მანჩესტერ იუნაიტედში | 1,5 |
| ფერნანდო ნელსონი | ლისაბონის სპორტინგიდან ასტონ ვილაში | 1,5 |
| მიქაელ იოჰანსენი | კოპენჰაგენიდან ბოლტონში | 1,25 |
| რონი იონსენი | ბეშიქთაშიდან მანჩესტერ იუნაიტედში | 1,2 |
| ნიკოლა იერკანი | ოვიედოდან ნოტინგემში | 1 |
| ალიოშა ასანოვიჩი | ჰაიდუკიდან დერბი ქაუნთში | 0,95 |
| სტაალე სოლბაკენი | ლილესტრიომიდან ვულვერჰემპტონში | 0,8 |
| იაკობ ლაურსენი | სიკლებორგიდან დერბი ქაუნთში | 0,5 |
| ბარი ჰორნი | ევერტონიდან ბირმინგემში | 0,25 |
| მიკელ ბეკი | ფორტუნა კიოლნიდან მიდლსბროში | თავისუფალი |
| იან რაში | ლივერპულიდან ლიდსში | თავისუფალი |
| სტივ ბრიუსი | მანჩესტერ იუნაიტედიდან ბირმინგემში | თავისუფალი |
| მაიკლ ჰიუზი | სტრასბურიდან ვესტ ჰემში | თავისუფალი |



# პატიოსნება და სხვა

„მსოფლიოში საუკეთესო თამაში“ — ეს ტერი ვენეიბლზის წიგნის სათაურია. ინგლისელთა გადამდგარი მწვრთნელის ნათხზავი ალბიონის მაღაზიებში სექტემბერში გამოჩნდება. მანამდე „თაიმზი“ ბეჭდავს ცალკეულ ნაწყვეტებს. დღეს, ინგლისის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე გთავაზობთ ერთ ასეთ ფრაგმენტს, რომელშიც კაცი, რომელმაც თავისი ქვეყნის გუნდის ახლებურ თამაშს ჩაუყარა საფუძველი, ცდილობს გააანალიზოს, თუ რა არის საჭირო დიდ მწვრთნელად გახდომისათვის.

შეშლილი სამუშაო, თითქმის შეუძლებელი საქმე. ასე აღწერდა რონ გრინვუდი მწვრთნელის როლს თანამედროვე ინგლისურ ფეხბურთში კარგა ხნით ადრე, ვიდრე იმავე აზრს გრემ ტეილორი მიუბრუნდებოდა. მას მერე, რაც 1976 წელს „კრისტალ პალასში“ მალკოლმ ელისონი შევცვალე და პირველად შევუდექი მწვრთნელობას, ჩემი ცხოვრება თითქოს გამუდმებულ შოკად იქცა. მაშინ რონ გრინვუდი ახალგაცნობილი მყავდა. ზაფხულზე, ერთ დღესასწაულზე გავიცანი, სადაც ჩემი ორი უმცროსი ქალიშვილი მყავდა წაყვანილი. მე რონს გულისყურით ვუსმენდი, რადგან ის ბრძენი კაცი იყო. მას მერე, რაც 1961 წელს შემოსავლის ზედა საზღვარი გააუქმეს, მისი გამოცდილება განვითარების ყველა ასპექტს შეეხო. როცა გრინვუდი ამბობდა, მწვრთნელის საქმე ურთულესია, კომპლექსური და უფრო რთულდებაო, უნებურად დაუგდებდი ყურს.

კლუბში და მის ირგვლივ ხალხის სპირალია, ყოველივე ამის ცენტრში კი შენ, მწვრთნელი დგახარ — ამბობდა ის. უპირველესად, შენ მენეჯერთა და მწვრთნელთა საკუთარი ჯგუფი უნდა გყავდეს. ამ ჯგუფის ჩამოყალიბება შენზეა. შემდეგ მოდის მოთამაშეთა კოლექტივი, თან პასუხისმგებლობა მხოლოდ პირველ გუნდზე კი არ გაკისრია, მეორე და ახალგაზრდული გუნდებიც შენია. ახალგაზრდული გუნდის ყოლა ჭაბუკებისთვის ყურადღების მიქცევას ნიშნავს, ანუ მოგიწევს ახალ ბიჭებთან და მათ მშობლებთან ლაპარაკი. შემდეგ, არსებობენ დირექტორები, ტრანსფერების საქმეებს რომ აგვარებენ. კონტრაქტებთან შენც გაქვს ხელი, თან პირველ გუნდს წვრთნი და ათასობით კილომეტრს გადიხარ ფეხბურთელების შესათვალიერებლად. შენვე გიწევს პრესასთან ურთიერთობა. ტვინს ყველაზე მეტად კი ის გიღრღნის, რომ შენ მხოლოდ პირველი გუნდის შედეგებზე კი არ ხარ პასუხისმგებელი (არადა სწორედ ამის მიხედვით გსჯიან), არამედ კლუბის მთლიან ჩამოყალიბებაზე.

ჩემი და რონის შეხვედრიდან ოცი წელი გავიდა და ჩვენი საქმის ძირითადი ხასიათი არ შეცვლილა. მწვრთნელს ისევ ისე მოეთხოვება. თუ რაიმე შეცვალა, ინტენსივობაა. შეჯიბრებათა ხასიათის გასასტიკებასთან ერთად, საფეხბურთო კლუბის მწვრთნელზე დაწოლამ ისე იმატა, რომ ლამის აუტანელი გახდა.

საქმე რომ შეუძლებელი არ გახდეს, ვფიქრობ დროა მწვრთნელს ზოგი საქმე გამოაკლდეს. ფაქტობრივად, უნდა მივიდეთ შრომის იმგვარ განაწილებაზე, ინგლისის გარეთ, კონტინენტზე რომაა მიღებული, ანუ მწვრთნელი მხოლოდ გუნდის მომზადებითაა დაკავებული, ხოლო ადმინისტრაციული საკითხები გენერალურ მენეჯერს ეხება. ღრმად მწამს, რომ ჩვენც ამ გზის არჩევა გვმართებს.

ასევე ვარ დარწმუნებული, რომ თანამედროვე სამწვრთნელო ერა ომის დამთავრებიდან 15 წლის შემდეგ დაიწყო ისეთმა სახელებმა, როგორებიც იყვნენ სერ მატ ბასბი, ბილ ნიკოლსონი, ბილ შენკლი და რონ გრინვუდი. ეს ის დროა, ფეხბურთი უფრო პროფესიული და პრესაში მეტად პოპულარული რომ გახდა. მიმდინარეობდა ევოლუციის პროცესი, რომელმაც მწვრთნელი კლუბებში ყოვლისმომცველ ფიგურად გახადა. სამოციან და სამოცდაათიან წლებში მწვრთნელი იყო კაცი, რომელიც თამაშსაც განსაზღვრავდა და კლუბის პრეზიდენტსაც მითითებებს აძლევდა. იგი იყო ერთადერთი, რომელმაც საქმის შესახებ ყველაფერი იცოდა. დღეს კი მწვრთნელის და პრეზიდენტის ურთიერთობა საპირისპიროდ შეიცვალა. ვგონებ, მწვრთნელი 50 წლის წინანდელთან შედარებით გაცილებით სუსტი ფიგურაა.

ამის მიზეზი ორია. ერთი — კლუბების მდიდარ მეპატრონეთა ახალი ტალღის გამოჩენა. ეს პროცესი ასე, ათი წელია რაც დაიწყო. მეორე კი არის ის, რაც ადრე ვახსენე, ანუ კლუბის მართვას პასუხისმგებლობათა განაწილება სჭირდება. მწვრთნელისა და პრეზიდენტის ურთიერთობა უაღრესად მნიშვნელოვანია და მისი ხარისხი პრეზიდენტის პიროვნებაზე დიდადაა დამოკიდებული. თუ მან კლუბში დიდძალი ფული ჩადო და ამიტომ წმინდა საფეხბურთო საქმეებში სიტყვის თქმასაც ლამობს, აუცილებლად პრობლემები წარმოიშობა. მეორე მხრივ, თუ შენ ჯეკ უოქერი ხარ და მიგაჩნია, რომ გუნდის აწყობა მწვრთნელის საქმეა, მაშინ უთუოდ წარმატებას მიიღებ.

ინგლისელი მწვრთნელი კარგავს მთელ კლუბზე კონტროლს, რაც მას უწინ ხელეწიფებოდა, მაგრამ გასახდელში და სავარჯიშო მოედანზე კვლავ პირველ კაცად უნდა დარჩეს. აქ მთავარი ლიდერობაა, რომლის უამრავი ფორმა არსებობს. მაგალითად სერ მატ ბასბი ფეხბურთელებისადმი მამობრივ გრძნობას ავლენდა. იგი ცდილობდა მოთამაშეთა ყველა სურვილი დაეკმაყოფილებინა. შემდეგი მაგალითია ალფ რამსეი. მას თავი განზე ეჭირა, მაგრამ აბსოლუტურად პატივცემული იყო. შენკლი იმ დიდ პიროვნებებს განეკუთვნება, თანაბრად რომ შეუძლიათ გახუმრებაცა და სერიოზულობაც. ამ სამ კაცს ერთი რამ ჰქონდათ საერთო — ისინი ლიდერები იყვნენ.

გულწრფელად რომ გითხრათ, ჩვენს მოთამაშეებთან ურთიერთობაში კიდევ ერთი რამაა მთავარი — პატიოსნება. ღრმად მწამს, რომ ყოველგვარ ავტორიტეტს დაკარგავ, თუ მათთან იფლიდებ. ასეთი საქციელი წინ დაგიხვდება, აუცილებლად გაგშიფრავენ. ამასთანავე საჭიროა გინდოდეს საკუთარი ფეხბურთელების გაგება. მზად უნდა იყო მათი პრობლემების მოსასმენად და დახმარების გასაწევად. არ შეიძლება მათ უთხრა — შენთვის არ მცალია, სხვა საქმე მაქვსო.

პიროვნება უნდა იყო, აი, რა არის კიდევ მნიშვნელოვანი. ფეხბურთელებს ისეთი თბილი ატმოსფერო უნდა შეუქმნა, რომ მათ შენი კლუბის წევრობა სიამოვნებდეთ. ეს ცუდი შედეგისგანაც დაგიცავთ, რადგან თუ ერთად ხართ, ნებისმიერ ქარიშხალს გაუძლებთ და წარმატებასაც დაიბრუნებთ.

ცხადია აუცილებელია ფეხბურთის ცოდნა, ოღონდ ის, რომ პროფესიულ დონეზე გითამაშია, საკმარისი სრულებითაც არ არის. კარგ მწვრთნელს თამაშის სწავლება უნდა შეეძლოს. უნდა იცოდე, როგორ გამოასწორო შენი ფეხბურთელების დონე როგორც ტექნიკის, ისევე ტაქტიკის თვალსაზრისით. აუცილებელია მათ ისეთი გეგმა დაუსახო, რომ მკაფიოდ გაიგონ, რის გაკეთებას სთხოვ.

ჩამოთვლილი თვისებები ქმნიან ლიდერს, ისეთს, როგორებიც იყვნენ ბასბი, შენკლი, პეისლი, ნიკოლსონი, გრინვუდი, რობსონი და კლაფი.

მწვრთნელი საკუთარ მოთამაშეებს უნდა იცნობდეს. ზოგისთვის ყველაფრის თავი და ბოლო ფულია, ზოგს კი მხარზე ხელის დაკვრა სჭირდება. არიან ისეთებიც, სიმკაცრე რომ უხდებათ.

მთელი მისნობაც ის არის, რომ იგრძნო რა არის საჭირო და მიხვდე, როგორ შეასრულებინო ფეხბურთელებს ის, რაც გუნდს წარმატებას მოუტანს.

**თარგმნა პაპუნა კედიამ**

## კინი და მაკარტი შერიგდნენ

სამშაბათს ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ დაასახელა 33 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც 31 აგვისტოსთვის, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ლიხტენშტაინის წინააღმდეგ მოსამზადებლად დაიბარა. მათ შორისაა „მანჩესტერ იუნაიტედის“ 25 წლის მოთამაშე როი კინი, რომელთანაც მწვრთნელი უბრად იყო.

მაკარტის და კინის კონფლიქტი მაისში მოხდა, როდესაც მწვრთნელმა მოთამაშე პორტუგალიასთან სათამაშოდ გამოიძახა, ის კი არ ჩავიდა. ამის შემდეგ მაკარტიმ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში, აშშ-ის თასზე არ წაიყვანა. და აი, კვირას, ისინი შერიგდნენ. მწვრთნელი „უემბლიზე“ „ჩერითი შილდის“ სანახავად ჩავიდა. თამაშის შემდეგ მათ საათზე მეტი ილაპარაკეს. მაკარტის თქმით, კინმა ბოდიში მოუხდა და უთხრა, პორტუგალიასთან თქვენდამი პროტესტის ნიშნად კი არ მოვიყრუე, უბრალოდ სისულელე მომივიდაო. აწი მწვრთნელს მოთამაშის იმედი აქვს.

## შოტლანდიის თასზე

პირველი წრე. ეარდრაიეონიასი — რეის როვერსი 3:2 (ძირითადი დრო 2:2), ბრეჩინი — ჰიბერნიანი 0:2, დანდი — დამბარტონი 2:1, ისტ ფაიფი — სენტ ჯონსტონი 1:5, ფალკირკი — ალბიონი 2:3, გრინოკ მორტონი — ჰემილტონი 4:3 პენალტებით (ძირითადი დრო 1:1), კილმარნოკი — ეირი 0:1, მოზერველი — ელოა 2:4 პენალტებით (ძირითადი დრო 0:0), პარტიკ თისლი — ფორფარი 3:0, ქუინზ პარკი — აბერდინი 0:2, სენტ მირენი — ბერვიკი 4:0, სტირლინგი — დანდი იუნაიტედი 1:2

## ბოდიში, შეგვეშალა

წინა ნომერში საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი ტურის შედეგების ჩამოთვლისას შეცდომა გაგვეპარა: სტუმარი და მასპინძელი გუნდები შენაცვლებით გვეწერა, თუმცაღა გამარჯვებულნიც, ანგარიშებიც და გოლების ავტორებიც სწორად იყო ნაუწყები.

**ველოსპორტი**

## ველოკარუსელი

**ამ კვირას რამდენიმე საინტერესო შეჯიბრება გაიმართა. სან-სებასტიანში მოეწყო მსოფლიო თასის მე-6 ეტაპი. თავიდან იტალიელი ლუკას ჯელფი დაწინაურდა, 149-ე კილომეტრამდე ლიდერობდა კიდეც და ერთი ხანობა პელეტონს 9.40 წუთითაც კი უსწრებდა. მაგრამ, როცა მდევრებს სათავეში ჩაუდგნენ მსოფლიო თასის გათამაშების ლიდერი, ჰოლანდიელი იოჰან მიუზეუვი და ესპანელი მიგელ ინდურაინი, ჯელფის ამაყ ეულობას ბოლო მოეღო. ამის შემდეგ გაქცევა რუსმა რომეს გაინეტდინოვმა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს კი ერთბაშად ექვსი მრბოლი გაიქცა და ერთმა გერმანელმა უდო ბოლტსმა გაიმარჯვა კიდეც. მეორე იტალიელი სტეფანო კატაი იყო, მესამე — მისი თვისტომი მასიმო პოდენცამა. ინდურაინი ფინიშთან მე-12 მივიდა. ექვსი ეტაპის შემდეგ ლიდერობს მიუზეუვი (ჰოლანდია) 112 ქულა, მომდევნონი არიან სტეფანო ძანინი (იტალია) 88 და ალექსანდრ გონჩენკოვი (რუსეთი) 67. შემდეგი ეტაპი ინგლისში გაიმართება.**

დანიაში დასრულებული მრავალდღიანი „დანიის ტური“ იტალიელმა ფაბრიციო გიდიმ მოიგო.

**იტალიელი ლიდერობს „პორტუგალიის ტურსაც“. მასიმილიანო ლელი უახლოეს მდევარს, მასპინძელ მანუელ აბრეუს 44 წამით უსწრებს.**

„გვადელუპას ტურში“ ფრანგი ვალტერ ბენეტო იყო უძლიერესი. მან კოლუმბიელ რაულ გომეს 1.50 წუთით აჯობა.

**სლოვენიაში დაიწყო იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. პირველ დღეს სისწრაფეზე რბოლაში ვაჟებში იტალიელმა სიმონე ლო ვანომ, ქალებში კი ავსტრალიელმა რაჩელ ლინკემ გაიმარჯვეს.**

საფრანგეთში 84 ქალი „ტურ დე ფრანსს“ იწყებს. ფავორიტებად ფრანგი ჟანი ლონგო, რუსების ოლიმპიური ჩემპიონი ზულფია ზაბიროვა და იტალიელი ფაბიანა ლუპერინი მიაჩნიათ.

**ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა გამოაქვეყნა უძლიერეს ველოსიპედისტთა რეიტინგი. პირველ ადგილზეა ფრანგი ლორან ჟალაბერი (2498). შემდეგ მოდიან ესპანელები — მსოფლიოს ჩემპიონი აბრაჰამ ოლანო (1943) და მიგელ ინდურაინი (1521). „ტურ დე ფრანსის“ წლევანდელი გამარჯვებული, დანიელი ბიარნე რიისი (1331) მეოთხეა.**

**ცურვა**

## პანკრატოვს ვერ უსწრებენ

საფრანგეთის ქალაქ მიულუზში რუსმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა დენის პანკრატოვმა მსოფლიო მიღწევა დაამყარა 50 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში (ამ სეზონში რეკორდები არ ფიქსირდება) — 23,68. გაიმარჯვეს სხვა ოლიმპიურმა ჩემპიონებმაც: რუსმა ალექსანდრ პოპოვმა 50 მეტრზე ნებისმიერი სტილით 22,90 და უნგრელმა კრისტინა ეგერშეგიმ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 2.11,89.

**კალათბურთი**

## რუსის ჯარიდან ბოსტონ სელტიქსში

მოსკოვის ცსკა-ს ცენტრალური თავდამსხმელი, ნიგერიელი ჯულიუს ნვოსუ, რომელმაც არმიელებთან შარშანდელი სეზონი გაატარა და მისით არც თუ ისე კმაყოფილნი იყვნენ რუსი მწვრთნელები, მომავალი წლიდან „ბოსტონ სელტიქსში“ ითამაშებს. „სელტიქსის“ მწვრთნელები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. არადა, ნვოსუ რუსეთის ჩემპიონატის სუპერლიგაში საშუალოდ 12.8 ქულას აგდებდა და 8,4 ფარიდან მოხსნას აკეთებდა.



ჯულიუს ნვოსუ

**ჰოკეი**

## მსოფლიო თასზე. არამარტო კანადაში

26 აგვისტოს იწყება მსოფლიო თასის გათამაშება, ადრე კანადის თასი რომ ერქვა. ეს ტურნირი ყველაზე პრესტიჟულია ჰოკეისტთა შეჯიბრებებში, რადგან მასში მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი ჰოკეისტი მონაწილეობს. გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. პირველ ჯგუფში იქნებიან კანადა, აშშ, რუსეთი და სლოვაკეთი. მეორეში — ჩეხეთი, შვედეთი, ფინეთი და გერმანია. ჯგუფებში გამარჯვებულნი პირდაპირ ნახევარფინალში გადიან, მეორე-მესამე ადგილზე გასულები კი ჯვარედინი პრინციპით შეხვდებიან ერთმანეთს და დანარჩენი ორი ნახევარფინალისტი ასე გამოვლინდება. მეორე ეტაპზე, თუ მატჩი ფრედ დასრულდა, გუნდები პირველ გოლამდე ითამაშებენ. ისე, როგორც სტენლის თასზე, ანუ არანაირი ბულიტები (როგორც მსოფლიოს ჩემპიონატზე) არ იქნება. ფინალი ორ მოგებამდეა. თუ აქ მესამე მატჩის ჩატარება გახდა საჭირო, იგი 15 სექტემბერს შედგება.

ამჯერად თასის თამაშები მხოლოდ კანადაში როდი ეწყობა. აქ მხოლოდ „ა“ ჯგუფის მატჩები ჩატარდება, „ბ“ ჯგუფის გუნდები კი ევროპაში გაარკვევენ მომდევნო ეტაპზე გასულებს. ამის მერე კი თასის გათამაშება მთლიანად ამერიკის კონტინენტზე გადაინაცვლებს.

რუსები, რომელთაც ბოლო წლებში ყველა პრესტიჟული ტურნირი წააგეს, გაცხოველებით ემზადებიან მსოფლიო თასისთვის. ავადმყოფ იგორ დმიტრიევის ნაცვლად მწვრთნელად ბორის მიხაილოვი დანიშნეს. უფრო სწორედ, ერთწლიანი შესვენების შემდეგ დააბრუნეს. ჯერჯერობით ნაკრებში თამაში მხოლოდ სტენლის თასის ამჟამინდელი მფლობელის, „კოლორადო ეველანშის“ მცველმა ალექსეი გუსაროვმა იუარა.



მსოფლიო თასზე რუსებს თავის დროზე საბჭოეთიდან გაქცეული სერგეი ფიოდოროვიც ეყოლებათ

და, ალბათ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ როგორ ემზადებიან ამ ტურნირისთვის კანადელები, რომელთათვის ეს ტურნირი ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრია. ჯერჯერობით ცნობილია, რომ ტურნირში მონაწილეობაზე უარი მხოლოდ სუპერვარსკვლავმა მარიო ლემიომ თქვა.

### მსოფლიო თასის ჯგუფური ტურნირის შეხვედრათა განრიგი

| | |
|---|---|
| 26.08 | შვედეთი — გერმანია |
| 27.08 | ფინეთი — ჩეხეთი |
| 28.08 | ფინეთი — გერმანია |
| 29.08 | ჩეხეთი — შვედეთი |
| 29.08 | რუსეთი — კანადა (ვანკუვერი) |
| 31.08 | გერმანია — ჩეხეთი |
| 31.08 | სლოვაკეთი — რუსეთი (მონრეალი) |
| 31.08 | კანადა — აშშ (ფილადელფია) |
| 1.09 | შვედეთი — ფინეთი |
| 1.09 | სლოვაკეთი — კანადა (ოტავა) |
| 2.09 | რუსეთი — აშშ (დეტროიტი) |
| 3.09 | სლოვაკეთი — აშშ (ბუფალო) |

**ATLANTA 96**



# ეს რა სოფელია?!
## მოკითხვა კოლიას

აგერ უკვე მერამდენედ მიხდება იმის თქმა, რომ ატლანტის ოლიმპიურ სოფელში დიდი სპორტსმენების ნაკლებობას ნაღდად ვერ იგრძნობდი. მაგრამ სპორტსმენიც არის და სპორტსმენიც: ზოგი გუშინ ამობრწყინებული ვარსკვლავია, ზოგიც — კარგა ხნის. ისეთებიც იყვნენ, ვინც მესამე ან მეოთხე ოლიმპიადაში იღებდნენ მონაწილეობას. ინტერვიუმ, რომელსაც ახლა გთავაზობთ, ერთდროულად სამი ოლიმპიადის შედარების საშუალება მომცა, რადგან ჩემი მესაუბრისთვის ეს მესამე ოლიმპიური თამაშები გახლდათ. ჟურნალისტებს წესად გვაქვს, ესა თუ ის ადგილი, იქ გამეფებული წესებითა და პირობებით, დაწვრილებით აღვწეროთ ხოლმე. აქ კი ისე გამოვიდა, რომ ჩემმა რესპონდენტმა ჩემი საქმე გააკეთა და ოლიმპიური სოფლის ყოფნას თავისებური შეფასება მისცა. სხვათა შორის, მისი და ჩემი ნაცნობი სხვა ათლეტების აზრი ერთმანეთს თითქმის ემთხვევა... თუმცა, მოდით, ყველაფერი რიგრიგობით.

მოკლედ, 3 აგვისტოს ღამეა და ოლიმპიადის კალათბურთის ფინალიდან სოფელში დავბრუნდით. გავიარე ტერიტორიაზე შესასვლელი უსაფრთხოების სამმაგი კონტროლი და ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ ელექტრომობილში ჩავჯექი. თავში, ცხადია, აშშ — იუგოსლავიის მატჩის ფრაგმენტები მიტრიალებს. ჩემთვის ვფიქრობ: რა დიდებული მოთამაშეა რობინსონი; სადამდე შეიძლება გაიზარდოს შაკილის ფიზიკური მონაცემები; გახდება თუ არა პენი ჰარდევეი ჯორდანზე დიდი მოთამაშე; პრედრაგ დანილოვიჩი ან ვლადე დივაცი იუგოსლავიის ნაცვლად ამერიკაში რომ დაბადებულიყვნენ, დღეს რა დონეზე იქნებოდნენ... მანქანა წამით გაჩერდა, სოფელში შემოსული ნაგვიანევი ხალხი აკრიფა და გზა განაგრძო. უცბად უკნიდან რუსულად, მაგრამ სპეციფიური აქცენტით მესმის:

— ზდაროვა, ბიჩო!

ქართველი ჩემს გარდა იქ არავინ იყო. მე რომელი ცნობილი კაცი ვარ, ვინმემ რომ მიცნოს-მეთქი — გავიფიქრე, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ჩემს მაისურს ზურგზე „ჯორჯია“ ეწერა და უკან მივიხედე. ცნობილმა ლიტველმა კალათბურთელმა, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა რიმას კურტინაიტისმა ტაფასავით ხელისგული გამომიშვირა და მითხრა: „ვიცნობდეთ ერთმანეთს, რიმასი.“

კაცი მთლად უტვინო უნდა იყო, რომ ამგვარ ნაცნობობას წიხლი ჰკრა. კურტინაიტისს გავეცანი. დარწმუნებული ვიყავი, პირველად რასაც მკითხავდა და არც შევმცდარვარ.

— კოლიას იცნობ?

ცხადია, ნიკოლოზ დერიუგინზე მკითხა. ამ კაცის სახელს ლიტველ კალათბურთელებთან (განსაკუთრებით „ძველებთან“) პაროლის ძალა ჰქონდა, რაც ატლანტურ რეპორტაჟებში ერთხელ უკვე მოგახსენეთ. კურტინაიტისს დავუდასტურე, კოლიას ვიცნობ-მეთქი, მან კი დაიწყო ახსნა, თუ რა კარგი ბიჭია დერიუგინი, რამდენჯერ ყოფილა თბილისში, როგორ უყვარს იქაურობა... კიდევ რამდენიმე კითხვა-პასუხის შემდეგ რიმასმა მკითხა:

— თუ იცი, სასადილო ახლა მუშაობს?

**— სასადილო 24 საათი მუშაობს. რატომ მეკითხები, განა სოფელში არ ცხოვრობ?**

— სოფელში კი ვცხოვრობ, მაგრამ აქაურობისა ვერაფერი გავიგე. სულაც არ გამიკვირდება, რომ სასადილო თორმეტზე ან პირველზე დაკეტონ.

**— რატომ, პირველად ხომ არ ხარ ოლიმპიადაზე?**

— საქმე სწორედ ისაა, რომ პირველად არ ვარ. ეს ჩემი მესამე ოლიმპიადაა და ამნაირი არეულობა არსად მინახავს. აქ ყველაფერი სხვანაირადაა.

**— როგორ სხვანაირად?**

— თუნდაც სასადილო ავიღოთ. თითქოს ბევრი კერძი კია, მაგრამ დააკვირდი, ყველაფერს ერთნაირი გემო აქვს. რაიმე განსხვავებული რომ იპოვო, მთელი საათი უნდა ეძებო. სპორტსმენს, ხომ იცი, მრავალფეროვანი კვება სჭირდება. აი, ბარსელონაში, განსაკუთრებით კი სეულში, პირიქით იყო — ერთნაირ საჭმელს ვერ იპოვიდი...

**— მოიცა რიმას, მე და შენ ყოფილი საბჭოელები ვართ. დაიჯერო, ოჯახში მუდამ ათნაირი კერძი გქონდა სადილად?**

— შენ ვერ გამიგე. მე, უბრალოდ, ვადარებ სეულისა და აქაურ საკვებს. ჩემს გუნდელებსაც, რომლებიც პირველად არიან ოლიმპიადაზე, აქაურობა მოსწონთ. მეც რომ ოლიმპიადების დებიუტანტი ვიყო, ალბათ ასევე ვიფიქრებდი. მაგრამ ცხოვრებაში ცოტა რაღაც მინახავს და ახლა ჩვენს აქაურ პირობებს ვადარებ. მეგონა, ოლიმპიადა ამერიკაში უფრო მაღალი დონისა და უკეთ ორგანიზებული იქნებოდა. ისე, საბჭოელებზე გეთანხმები: დღეში სამოცკაპიკიან კვებაგამოვლილმა კაცმა საჭმელზე ბევრი არ უნდა იწუწუნოს.

**— რადგან ამდენი გინახავს, აქაურ საცხოვრებელ პირობებზეც გვეტყვი შენს აზრს.**

— ყველა ქვეყანა, რომელიც ოლიმპიადას მასპინძლობს, ყველაფერს ახლიდან აშენებს. პირველ რიგში — ოლიმპიურ სოფელს. ჩვენ ახლა რომელიღაც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ვართ და მის საერთო საცხოვრებლებში გვძინავს. შენთან არ ვიცი როგორ არის, მაგრამ ჩემს ოთახში ორი კაცი გზას ვერ აუქცევს ერთმანეთს. რატომ მოხდა ასე, არ ვიცი, მაგრამ ვერც ის გამიგია, ამერიკას სხვა ქვეყანამ როგორ უნდა აჯობოს. პირველად რომ ვიყო შტატებში, კიდევ ჰო, მაგრამ აღარც კი მახსოვს, მერამდენედ ვარ. ამათი შესაძლებლობები კარგად ვიცი. ბოლოსდაბოლოს, მოსკოვის ოლიმპიური სოფელი ხომ გინახავს. ის ამას გაცილებით სჯობია, სეულზე ხომ აღარ ვლაპარაკობ. აქ ღამის პირველ საათზე ყველაფერი კვდება, მე კი მერე მინდა გართობა და დასვენება — სპორტსმენებს ხომ არანორმირებული დღეები გვაქვს? უბრალოდ გეტყვი, ლუდის დალევა რომ მოგინდეს, ქალაქში უნდა გახვიდე. ასეთი რამ სხვაგან არ მახსოვს.

**— ოლიმპიადის ორგანიზაციაში თუ შეამჩნიე რაიმე ხარვეზი?**

— როგორ გგონია, ცხვირწინ რომ ბომბს აგიფეთქებენ, ეს ხარვეზი არ არის? კარგი, ტერორიზმი იქით იყოს. ტრანსპორტირებაზე ვილაპარაკოთ. ახლა მოვდივარ ფინალიდან. თამაშის მერე ჩვენი გუნდი დააჯილდოვეს. ავტობუსით კი წაგვიყვანეს, მაგრამ იქიდან წამოსვლა რომ მოვინდომეთ, ვერაფერი გავაწყვეთ. ავტობუსი გამქრალიყო, ტაქსის იმ ტერიტორიაზე არ უშვებენ. ვიბოდიალე და, მართალი გითხრა არ ვიცი, რომელი ქვეყნის გუნდისთვის განკუთვნილი ავტობუსით დავბრუნდი უკან.

ეგ არაფერი. ჩვენი, ლიტველი ნიჩბოსანი შეჯიბრებიდან მოხსნეს. იცი რატომ? ავტობუსმა დაიგვიანა. ბიჭი მანქანის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე მივიდა გაჩერებაზე. იცადა, იცადა, ავტობუსი კი დაგვიანებით გამოჩნდა. როცა არხზე მივიდა, უთხრეს, დაიგვიანეო და შეჯიბრებაზე აღარ დაუშვეს. რამდენი არ უმტკიცეს ჩვენებმა, ამისი რა ბრალია, ავტობუსმა დაიგვიანაო, მაინც არაფერმა გაჭრა. ისე, დაგვიანების ფაქტი აღიარეს, მაგრამ ეგ თქვენი პრობლემააო, ესეც თქვეს. გეკითხები, ოლიმპიადის ოფიციალური ტრანსპორტი რომ ცუდად მუშაობს, ეს სპორტსმენის პრობლემაა თუ ორგანიზატორების?

**— მე რაც არ უნდა გიპასუხო, იმ საცოდავ ნიჩბოსანს აღარაფერი ეშველება. მოდი, ცოტა კალათბურთზეც ვთქვათ.**

— იცი რა არის? მე პატივს ვცემ ძლიერ მეტოქეს. მის წინააღმდეგ თამაში ძალიან მსიამოვნებს. იუგოსლავია ასეთი გუნდია. ბიჭებიც კარგი არიან, სათითაოდ ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ასე არ შეიძლება. მეტოქე პატიოსნად უნდა მეთამაშოს. უფრო სწორად, იგი უნდა მეთამაშოს და არა მსაჯები ან ფიბას ჩინოვნიკები. უყურე ჩვენსა და მათ ნახევარფინალს? ევროპის ჩემპიონატის ფინალი მახსოვს. გამოვიდეს ბარემ სტანკოვიჩი მოედანზე და ეთამაშოს ლიტვის ნაკრებს! მაგ კაცზე, ფიბას გენსეკზე, ჯერ კიდევ გომელსკი ამბობდა, იუგოსლავიის ნაკრების საუკეთესო მოთამაშეაო.

**— ჰო, მაგრამ, ნუთუ თქვენთვის მესამე ადგილი წარმატება არ არის?**

— როგორ არ არის, მაგრამ ხომ იყო ფინალში გასვლის შანსი?! კეთილი, ფინალს წავაგებდით, ამერიკის მომგები არც ახლა და არც მერე არავინაა, მაგრამ ბინძურად რატომ უნდა წამაგებინო. თანაც, ლიტვისთვის ეს ბოლო შანსი იყო. მე რა ვიცი, მომავალ ოლიმპიადაზე გუნდი საერთოდ გვეყოლება?

**— ლიტვაში საკალათბურთო ტალანტს რა გამოლევს...**

— მართალი ხარ, მაგრამ საბონისი სულ ხომ არ გვეყოლება... აგერ, მოვედით სასადილოსთან. წამო, ვივახშმოთ და მერე აქვე, სოფელთან ახლოს ბარში წავიდეთ და ლუდი დავლიოთ.

თქვა თუ არა კურტინაიტისმა ეს, ორივემ ინსტინქტურად საათებზე დავიხედეთ. ღამის ორი საათი იყო — ესე იგი, უკვე კვირა დღე ლდგა. ამერიკული კანონებით კი კვირა დღეს ლუდი არ იყიდება. მე და რიმასმა უთქმელად გავუგეთ ერთმანეთს, გულიანად გადავიხარხარეთ და ბარსელონაში, ანაც სეულში ყოფნა ვინატრეთ. შემდეგ, ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ და კურტინაიტისმა დამაბარა... რას დამაბარებდა, თავადაც მიხვდებოდით — კოლია მომიკითხეო...

**მერაბ რატიშვილი**
**ატლანტა — თბილისი**

სარბიელი

# სპორტული ლატარეა "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. პირველი ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 აგვისტო** | | | |
| ზანქტ პაული — ბაიერნი | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| მიონხენგლადბახი — არმინია | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| **17 აგვისტო** | | | |
| ბოხუმი — დუისბურგი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| შტუტგარტი — შალკე | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ჰანზა — კარლსრუე | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ფრაიბურგი — ვერდერი | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| მიუნხენ 1860 — ჰამბურგი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ლევერკუზენი — დორტმუნდი | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| **18 აგვისტო** | | | |
| ფორტუნა — კიოლნი | 1,6 | 2,8 | 3,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. მესამე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 აგვისტო** | | | |
| მანჰაიმი — აინტრახტი | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| ფორტუნა (კიოლნი) — ჰერტა | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| **17 აგვისტო** | | | |
| ცვიკაუ — მეპენი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი — კარლ ცეისი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| **18 აგვისტო** | | | |
| ლუბეკი — უნტერჰახინგი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ოლდენბურგი — შტუტგარტერ კიკერსი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| როტ ვაისი — ურდინგენი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| გუტერშლოხი — მაინცი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ლაიფციგი — ვოლფსბურგი | 1,3 | 3,0 | 5,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. პირველი ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 აგვისტო** | | | |
| არსენალი — ვესტ ჰემი | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ბლექბერნი — ტოტენჰემი | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ქოვენთრი — ნოტინგემი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| დერბი ქაუნთი — ლიდსი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ევერტონი — ნიუკასლი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| მიდლსბრო — ლივერპული | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| შეფილდ უენსდეი — ასტონ ვილა | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| სანდერლენდი — ლესტერ სიტი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| უიმბლდონი — მანჩესტერ იუნაიტედი | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| **18 აგვისტო** | | | |
| საუთჰემპტონი — ჩელსი | 2,9 | 2,8 | 1,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. პირველი ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16 აგვისტო** | | | |
| მანჩესტერ სიტი — იფსვიჩ თაუნი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| **17 აგვისტო** | | | |
| ბირმინგემ სიტი — კრისტალ პალასი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ბრედფორდი — პორტსმუტი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| გრიმსბი — ვულვერჰემპტონი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| ჰადერსფილდი — ჩარლტონი | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ნორვიჩ სიტი — სვინდონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ოლდემი — სტოკ სიტი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| პორტ ველი — ბოლტონი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ქუინზ პარკი — ოქსფორდი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| რედინგი — შეფილდ იუნაიტედი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| საუთენდი — ტრანმერი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ვესტ ბრომვიჩი — ბარნსლი | 1,4 | 2,8 | 4,4 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. მეორე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **16-17 აგვისტო** | | | |
| მონაკო — მონპელიე | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ბასტია — გინგამი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| კანი — ნანტი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ლანსი — ნანსი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| პარი სენ-ჟერმენი — კაენი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ლიონი — სტრასბური | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ლე ავრი — მარსელი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| მეცი — ბორდო | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ოსერი — ლილი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| რენი — ნიცა | 1,4 | 3,0 | 4,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. მეორე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 აგვისტო** | | | |
| სელტიკი — რეის როვერსი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| დანდი იუნაიტედი — ჰიბერნიანი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| დანფერმლაინი — რეინჯერსი | 5,6 | 3,2 | 1,2 |
| ჰართსი — კილმარნოკი | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| მოზერველი — აბერდინი | 1,9 | 2,6 | 2,6 |

### რუსეთის ჩემპიონატი. 23-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **17 აგვისტო** | | | |
| ჟემჩუჟინა — ზენიტი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ალანია — როსტსელმაში | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ბალტიკა — ტორპედო | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ჩერნომორეცი — დინამო | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) — კამაზი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| როტორი — სპარტაკი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ცსკა — კრილია სოვეტოვ | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ლადა — ლოკომოტივი (ნიჟნი ნოვგოროდი) | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ტექსტილშჩიკი — ურალმაში | 1,6 | 3,0 | 3,0 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა:

გერმანია. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9
•ინგლისი. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9
საფრანგეთი. 23 და ნაკლები — 1,9; 25 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე



საქართველოში მედიცინის დარგში გატარებულმა რეფორმამ დღევანდელ ეტაპზე გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინე პირთა სამედიცინო უზრუნველყოფის საქმეზე. ვინაიდან სპორტულ მედიცინაში საექიმო შემოწმება (საექიმო კონტროლი) ყოველთვის და ყველა შემთხვევაში უფასო იყო, ამიტომ ფასიანი სამედიცინო შემოწმების შემოღებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ფიზიკურად მოვარჯიშე იმ პირთა ოდენობა, რომლებიც სავალდებულო წესით ყოველწლიურად უნდა გადიოდნენ საექიმო კონტროლს. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორტი გარკვეულად გაერიჯა მედიცინას, რაც ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ფიზაღზრდაც და სპორტიც, ანუ მასობრივი და დიდი (როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიონალთა) სპორტი მთელ მსოფლიოში სპორტული მედიცინის საფუძველზე ვითარდება. ამიტომაც, უნდა ვიგულისხმოთ, ქვეითდა კვალიფიციურ სპორტსმენთა სამედიცინო უზრუნველყოფის საქმე, მასობრივი სპორტი კი საერთოდ მოკლებულია ყოველგვარ სამედიცინო მეთვალყურეობას.

აღნიშნულს ისიც უნდა დაემატოს, რომ თითქმის მოისპო ყოველგვარი [illegible] სპორტული მედიცინის დარგში. აღარ წარმოებს მეთოდური და ორგანიზაციული საქმიანობა. სპორტული მედიცინის კათედრები ჩამოშორდნენ პრაქტიკულ მუშაობას, რაც იმას ნიშნავს, რომ სამედიცინო-სპორტული პრაქტიკა ყოველგვარი მეთვალყურეობისა და კონსულტაციების გარეშე დარჩა. იმის გამო, რომ სპორტული მედიცინის ასეთ მდგომარეობაში დატოვება ყოვლად დაუშვებელია, ზემოთ ნახსენებ საპარლამენტო მოსმენისას გამოიკვეთა ორი მეტად მნიშვნელოვანი წინადადება. პირველი — სპორტული მედიცინის ძირითადი ცენტრების საბიუჯეტო დაწესებულებებისთვის მიკუთვნება, მათი

# ნუ გავიწყდებათ ექიმები

**რომანოზ სვანიშვილი სამედიცინო პრაქტიკის პარალელურად ყოველთვის უთმობდა დიდ ყურადღებას თეორიულ საქმიანობასაც. მას გამოქვეყნებული აქვს 470 ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარულ და სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე.**

რომ მომავალში, როცა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, უნდა შეიქმნას ყველა პირობა საიმისოდ, რათა ფიზიკურად მოვარჯიშე პირთა სამედიცინო უზრუნველყოფა კვლავაც უფასო და თანაც თანამედროვე მოთხოვნათა დონისა იყოს.

ცნობილია, რომ ის პირი, რომლისთვისაც სავალდებულოა ფიზიკური მეცადინეობა, ყველა ტიპის სახელმწიფო სასწავლებელში, ასევე სავალდებულო წესით, ყოველწლიურად ერთხელ მაინც უნდა გადიოდეს საექიმო კონტროლს.

კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობაა დაწესებული სპორტში სისტემატურად მომეცადინე პირებზე (სპორტსმენებზე), რომელთა საექიმო შემოწმება, გარდა ერთჯერადი გაღრმავებული საექიმო კონტროლისა, ასევე სავალდებულო, დამატებითი წესით, დინამიკაში (ძირითადი, საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის მზადებასთან დაკავშირებით) უნდა ჩატარდეს. ასეთი სამედიცინო შემოწმება თავის მხრივ ხელს უწყობს საწვრთნელი პროცესის რეგულირებას და აუმჯობესებს სპორტსმენთა მომზადების დონეს.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენში მასობრივ და დიდი სპორტში მომეცადინეთა სამედიცინო უზრუნველყოფის (საექიმო კონტროლის) საქმე მეტად არასახარბიელო დღეშია.

სპორტული მედიცინის ის დაწესებულებები, რომელთაც მიეკუთვნებიან საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები (ამჟამად ცენტრები) და უწყებათა საექიმო კონტროლის განყოფილებები და კაბინეტები, თავიანთი სავალალო ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გამო თანდათან სულ უფრო უმწეო მდგომარეობაში ვარდებიან. თვითდაფინანსებაზე გადასვლამ ამ დაწესებულებათა თანამშრომლები (ექიმები, მედდები, მასაჟისტები, ინსტრუქტორები, მეთოდისტები და სხვანი) თვეების განმავლობაში უხელფასოდ დატოვა რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა სპორტსმენთა სამედიცინო შემოწმება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სპორტის ექიმი და ექთანი, შეიძლება ითქვას, კვლავაც უფასოდ განაგრძობს სპორტსმენთა სამედიცინო უზრუნველყოფის საქმეს. ამიტომ ისინი უდაოდ იმსახურებენ დიდ მადლობას.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით და არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის მიერ ამას წინათ მოეწყო საგანგებო საპარლამენტო მოსმენა სპორტული მედიცინის საკითხებზე, რაც საქართველოში ამ დონეზე პირველად განხორციელდა. როგორც ძირითად მოხსენებაში (მომხსენებელი — თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის მთავარი ექიმი ოთარ ვირუბოვი), ისე კამათში გამოსულმა მედიცინისა და სპორტის მუშაკებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სპორტულ მედიცინას უპირველესად და უშუალოდ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს, ვინაიდან ამ დარგის მუშაკები თავიანთი საქმიანობით პროფილაქტიკურ სამედიცინო ღონისძიებებს ატარებენ, ხოლო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სამკურნალო საქმეს, ამასთან, თვალსაჩინო ეკონომიკურ ეფექტსაც იძლევა.

სპორტული მედიცინა, შეიძლება ითქვას, დღეს არაფრით მარაგდება, არ წარმოებს კვლევებისა და მკურნალობის ახალი მეთოდების და საშუალებების დანერგვა-გამოყენება, არ არის სპეციალური სტაციონარი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე სპორტსმენთა აღდგენითი მკურნალობა (არა ისე, როგორც ეს რიგ სამკურნალო დაწესებულებებში ტარდება). სპორტის ექიმები და საშუალო მედპერსონალი, შეიძლება ითქვას, არავითარ მონაწილეობას არ იღებს საწვრთნო-სამედიცინო პროცესის დაგეგმვასა და მის სწორად წარმართვაში, რის გარეშეც წარმოუდგენელია ყოველდღიური წვრთნისა და შეკრებების სათანადო დონეზე ჩატარება. მნიშვნელოვნად დასაშტატო ერთეულების სათანადოდ მოწესრიგებით, მეორე — საზოგადოებრივ საწყისებზე რესპუბლიკური მნიშვნელობის ორგანიზაციულ-მეთოდური, სასწავლო-სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის მაკოორდინირებელი სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის შექმნა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოცუზრუნველყოფის სამინისტროებისა და სპორტის დეპარტამენტის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, რომელსაც დაევალება აქტიური საქმიანობა სპორტული მედიცინის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ოლიმპიელების სამედიცინო უზრუნველყოფის დონე არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ მწვრთნელებმა არ გაითვალისწინეს ექიმთა აზრი — ერთად ჩაეტარებინათ ჩვენი სპორტსმენების ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, სამედიცინო (ფუნქციური) და ფსიქოლოგიური მზადყოფნის დონის ღრმა ანალიზი და მხოლოდ ამის საფუძველზე გამოეთქვათ ყველა სახის პროგნოზი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიხსომოთ, რომ შეუძლებელია სპორტსმენთა მომზადება მათი სათანადო სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე, რაც საქართველოში ვერა და ვერ იქცა წესად.

საქართველოში მხოლოდ ერთხელ მოხდა, როდესაც მწვრთნელთა სემინარზე წაკითხული იყო მთელი ციკლი ლექციებისა სპორტულ მედიცინაში, რომლის დროსაც, სამწუხაროდ, გამოვლინდა მწვრთნელების არასათანადო დონე მედიკო-ბიოლოგიურ საკითხებში. ეს ღონისძიება ბატონ ნოდარ ახალკაცის თაოსნობით მოეწყო ფეხბურთის მწვრთნელთათვის, რის შემდეგაც მსგავსი რამ როგორც ფეხბურთში, ისე სხვა სახეობებში არ გაკეთებულა. ან კიდევ: ამას წინათ სპორტის ერთ-ერთ სახეობაში საქართველოს ჩემპიონი გუნდის წევრების საექიმო შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ სპორტსმენების უმრავლესობა ხასიათდებოდა არასათანადო ფიზიკური მუშაობის უნარით, ხოლო ორგანიზმის ასეთი ფიზიკური მდგომარეობით შეუძლებელია სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე შესრულება. ისმის კითხვა: თუ ასეთი მდგომარეობაა ნომერ პირველ გუნდში, რაღა იქნება სხვა სპორტსმენთა შორის?

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ ბევრისა შეიძლება. აქ მთავარი ისაა, რომ ჩვენი მწვრთნელები შეგნებულად თუ შეუგნებლად არ ავლენენ დაინტერესებას სპორტული მედიცინის საკითხების მიმართ. როგორც წესი, ისინი მოითხოვენ სპორტსმენების (არა ნაკლებ 15 და მეტი კაცისა) ერთ ან ორ დღეში შემოწმებას, რაც აბსურდად უნდა ჩაითვალოს. როდესაც ეკითხები, თუ რატომ ჩქარობენ, ერთნაირად გპასუხობენ — არ გვინდა, ამ მიზეზით სპორტსმენმა წვრთნა გააცდინოს. ესაც საექიმო კონტროლის საკითხებში მათი მომზადების დაბალი დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია. რაც შეეხება მწვრთნელთა მონდომებას, სპორტული სეზონის განმავლობაში ან განსაკუთრებით საპასუხისმგებლო შეჯიბრის წინ, მოსამზადებელ პერიოდში განხორციელდეს სპორტსმენთა განმეორებითი ან სპეციალური საექიმო შემოწმება (მაგალითად, — დაკვირვება საექიმო პედაგოგიური კონტროლის სახით, სხვა ტესტირებები), ეს ჩვენში უიშვიათეს შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. ამიტომაც არის, რომ ჩვენი მწვრთნელები ვერ აზრხებენ საწვრთნო პროცესის საპასუხისმგებლო ეტაპებზე წვრთნის მედიკო-პედაგოგიურ რეგულირებას. ბოდიშს ვუხდი ჩვენს მწვრთნელებს, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — როდის, რამდენჯერ და რა მოცულობითა და მეთოდიკით უნდა გაისინჯონ ჩვენი სპორტსმენები, ეს სპორტის ექიმების პრეროგატივაა და არა მწვრთნელების გადასაწყვეტი საკითხი, რაც, რასაკვირველია, მათი კოლეგიური საქმიანობით უნდა ხორციელდებოდეს.

**რომანოზ სვანიშვილი**

# CROCO და სარბიელი წარმოგიდგენთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანიის BUNDESLIGA



დორტმუნდელთა კაპიტანი მიხაელ ცორკი ჩემპიონის ხინით ხელში

### DSC ARMINIA BIELEFELD
### არმინია ბილეფელდი

დაარსდა 1905 წლის 5 მაისს. ბუნდესლიგაში იშვიათად თამაშობდა. საუკეთესო შედეგი მერვე ადგილია (1983, 1984). 1985 წელს გავარდა ბუნდესლიგიდან და წლეულსღა დაბრუნდა. საინტერესოა, რომ 1994-95 სეზონში გუნდი რეგიონალურ ლიგაში თამაშობდა, შარშან მეორე ბუნდესლიგაში გადავიდა და ეგრევე ბუნდესლიგას დაუბრუნდა.

### 1. FC KÖLN
### კიოლნი

დაარსდა 1948 წლის 13 თებერვალს. გერმანიის სამგზის ჩემპიონი (1962, 1964, 1978). ქვეყნის თასის ოთხგზის მფლობელი (1968, 1977, 1978, 1983). დაარსების დღიდან ბუნდესლიგის მუდმივი წევრია, თან პირველი ჩემპიონი. ბოლო ხუთი სეზონის შედეგები ასეთია: 1992 — მე-4 ადგილი, 1993 — მე-12, 1994 — მე-11, 1995 — მე-10, 1996 — მე-12.

### BAYER 04 LEVERKUSEN
### ბაიერი ლევერკუზენი

დაარსდა 1904 წლის 15 ივნისს. 1993 წლის გერმანიის თასისა და 1988 წლის უეფას თასის მფლობელი. 1979 წლიდან ბუნდესლიგა არ დაუტოვებია. საუკეთესო შედეგი მესამე ადგილია (1994). ბოლო ხუთი სეზონის შედეგები ასეთია: 1992 — მე-6 ადგილი, 1993 — მე-5, 1994 — მე-3, 1995 — მე-7, 1996 — მე-14.

### TSV MÜNCHEN 1860
### მიუნხენ 1860

დაარსდა 1860 წლის 17 მაისს. 1966 წლის გერმანიის ჩემპიონი. ქვეყნის თასის ორგზის მფლობელი (1942, 1964). ბუნდესლიგიდან პირველად 1970 წელს გავარდა და მას მერე დროდადრო, თითო-ორი წლით თუ ახერხებდა დაბრუნებას. 1985-93 წლებში ბავარიის მიწის ჩემპიონატში გამოდიოდა. მერე მეორე ბუნდესლიგაში გადავიდა და იქვე კვლავ მოიპოვა ბუნდესლიგის საგზური.

### FC BAYERN MÜNCHEN
### ბაიერნი მიუნხენი

დაარსდა 1900 წლის 27 თებერვალს. გერმანიის 13-გზის ჩემპიონი (1932, 1969, 1972, 1973, 1974, 1980, 1981, 1985, 1986, 1987, 1989, 1990, 1994). თასის რვაგზის მფლობელი (1957, 1966, 1967, 1969, 1971, 1982, 1984, 1986). ევროპის ჩემპიონთა თასის სამგზის (1974, 1975, 1976), თასების თასის (1967) და უეფას თასის (1996) მფლობელი.

### FC SHALKE 04
### შალკე 04

დაარსდა 1904 წლის 4 მაისს. გერმანიის შვიდგზის ჩემპიონი (1934, 1935, 1937, 1939, 1940, 1942, 1958). ქვეყნის თასის ორგზის მფლობელი (1937, 1972). ბოლო ხუთი სეზონის შედეგები ასეთია: 1992 — მე-11 ადგილი, 1993 — მე-10, 1994 — მე-14, 1995 — მე-11, 1996 — მე-3.

### VfL BOCHUM
### ბოხუმი

დაარსდა 1938 წლის 15 აპრილს. ბუნდესლიგაში 1971 წლიდან გამოდის. საუკეთესო შედეგი მერვე ადგილია (1979). პირველად ლიგა 1993 წელს დასტოვა, თუმცა ერთ სეზონში უკან დაბრუნდა. არც 1994-95 სეზონი გამოდგა წარმატებული და კვლავ გავარდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, წლეულს კვლავ ბუნდესლიგაშია.

### FC St. PAULI
### ზანქტ პაული

დაარსდა 1910 წლის 15 მაისს. ბუნდესლიგაში გატარებული აქვს ხუთი სეზონი. პირველად აქ ითამაშა 1977-78 სეზონში და იქვე გავარდა. მერე 1988 წელს შეძლო გადმოსვლა და სამი წელი არ გავარდნილა. მესამედ შარშან მოხვდა ბუნდესლიგაში. გასულ სეზონში მხოლოდ გავარდნილ გუნდებს აჯობა.

### BV 09 BORUSSIA DORTMUND
### ბორუსია დორტმუნდი

დაარსდა 1909 წლის 19 დეკემბერს. გერმანიის ხუთგზის ჩემპიონი (1956, 1957, 1963, 1995, 1996). ქვეყნის თასის ორგზის (1965, 1989) და თასების თასის (1966) მფლობელი. ბოლო ხუთი სეზონია, მეოთხე ადგილს ქვემოთ არ ჩასულა (1992 — მე-2 ადგილი, 1993 და 1994 — მე-4 ადგილი).

### MSV DUISBURG
### დუისბურგი

დაარსდა 1902 წლის 17 სექტემბერს. ბუნდესლიგის დაარსებიდან (1963) 1982 წლამდე ლიგის უცვლელი წევრი იყო. საუკეთესო შედეგი მეორე ადგილია (1963). 82-ში გავარდნილი მხოლოდ 1991 წელს დაბრუნდა ბუნდესლიგაში, თუმცა ეგრევე გავარდა. ასევე სწრაფად ისევ დაბრუნდა, ორი წელი გაძლო და ისევ მეორე ბუნდესლიგაში ამოჰყო თავი. წლეულს კვლავ დაბრუნდა.

### SC FREIBURG
### ფრაიბურგი

დაარსდა 1904 წლის 30 მაისს. ბუნდესლიგაში პირველად 1993 წელს გამოჩნდა. იმ წელს მე-15 ადგილი დაიკავა, მომდევნო, 1994-95 სეზონში კი — მე-3, რაც, ცხადია, დღემდე საუკეთესო შედეგია. გასული ჩემპიონატი მე-11 ადგილზე დაამთავრა.

### FC HANSA ROSTOCK
### ჰანზა როსტოკი

დაარსდა 1965 წლის 28 დეკემბერს. ამჟამად ბუნდესლიგაში ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის ერთადერთი წარმომადგენელი. ქვეყნის გაერთიანებისას ობერლიგაში მოხვდა, მაგრამ იმავე სეზონში ბუნდესლიგის საგზური მოიპოვა. იქ მე-18 ადგილზე გავიდა და გავარდა. ბუნდესლიგაში შარშან დაბრუნდა სამწლიანი შესვენების შემდეგ.

### VfB STUTTGART
### შტუტგარტი

დაარსდა 1893 წლის 9 სექტემბერს. გერმანიის ოთხგზის ჩემპიონი (1950, 1952, 1984, 1992). ქვეყნის თასის ორგზის მფლობელი (1954, 1958). ბოლო ხუთი სეზონის შედეგები ასეთია: 1992 — ჩემპიონი, 1993 — მე-7 ადგილი, 1994 — მე-7, 1995 — მე-12, 1996 — მე-10.

### MÖNCHENGLADBACH BORUSSIA
### ბორუსია მიონხენგლადბახი

დაარსდა 1900 წლის 1 აგვისტოს. გერმანიის ხუთგზის ჩემპიონი (1970, 1971, 1975, 1976, 1977). გერმანიის თასის სამგზის (1960, 1973, 1995) და უეფას თასის ორგზის (1975, 1979) მფლობელი. 1965 წლიდან მუდმივად თამაშობს ბუნდესლიგაში. ბოლო ხუთი სეზონის შედეგები ასეთია: 1992 — მე-13 ადგილი, 1993 — მე-9, 1994 — მე-10, 1995 — მე-5, 1996 — მე-4.

### FORTUNA DÜSSELDORF
### ფორტუნა დიუსელდორფი

დაარსდა 1895 წლის 5 მაისს. გერმანიის 1933 წლის ჩემპიონი. თასის ორგზის (1979, 1980) მფლობელი. 1979 წლის თასების მფლობელთა თასის ფინალისტი (ფინალში, დამატებით დროში წააგო „ბარსელონასთან" 3:4). ბუნდესლიგაში საუკეთესო შედეგია მე-3 ადგილი (1973, 1974).

### HAMBURGER SV
### ჰამბურგი

დაარსდა 1887 წლის 29 სექტემბერს. გერმანიის შვიდგზის ჩემპიონი (1922, 1923, 1928, 1960, 1979, 1982, 1983). გერმანიის თასის სამგზის (1963, 1976, 1987), ევროპის ჩემპიონთა თასის (1983) და თასების თასის (1977) მფლობელი. ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი, ვისაც ბუნდესლიგა არასდროს დაუტოვებია.

### KARLSRUHER SC
### კარლსრუე

დაარსდა 1894 წლის 1 ნოემბერს. 1909 წლის გერმანიის ჩემპიონი. ქვეყნის თასის ორგზის (1955, 1956) მფლობელი. 1987 წლიდან მუდმივად თამაშობს ბუნდესლიგაში. ბოლო ხუთი სეზონის შედეგები ერთობ სტაბილურია: 1992 — მე-8 ადგილი, 1993 — მე-6, 1994 — მე-6, 1995 — მე-8, 1996 — მე-7.

### SV WERDER BREMEN
### ვერდერი ბრემენი

დაარსდა 1899 წლის 1 თებერვალს. გერმანიის სამგზის ჩემპიონი (1965, 1988, 1993). ქვეყნის თასის სამგზის (1961, 1991, 1994) და თასების თასის (1992) მფლობელი. თავისი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ერთხელ, 1980 წელს დასტოვა ბუნდესლიგა, თუმცა დასაბრუნებლად ერთი სეზონი ეყო და მას მერე მუდმივად აქ თამაშობს.

## 1995-96 სეზონის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Borussia Dortmund | 34 | 19 | 11 | 4 | 76-38 | 68 |
| 2 | Bayern München | 34 | 19 | 5 | 10 | 66-45 | 62 |
| 3 | Schalke 04 | 34 | 14 | 14 | 6 | 45-36 | 56 |
| 4 | Mönchengladbach | 34 | 15 | 8 | 11 | 52-51 | 53 |
| 5 | Hamburger SV | 34 | 12 | 14 | 8 | 52-47 | 50 |
| 6 | Hansa Rostock | 34 | 13 | 10 | 11 | 47-43 | 49 |
| 7 | Karlsruher SC | 34 | 12 | 12 | 10 | 53-46 | 48 |
| 8 | München 1860 | 34 | 11 | 12 | 11 | 52-46 | 45 |
| 9 | Werder Bremen | 34 | 10 | 14 | 10 | 39-42 | 44 |
| 10 | VfB Stuttgart | 34 | 10 | 13 | 11 | 59-62 | 43 |
| 11 | SC Freiburg | 34 | 11 | 9 | 14 | 30-41 | 42 |
| 12 | 1. FC Köln | 34 | 9 | 13 | 12 | 33-35 | 40 |
| 13 | Fortuna Düsseldorf | 34 | 8 | 16 | 10 | 40-47 | 40 |
| 14 | Bayer Leverkusen | 34 | 8 | 14 | 12 | 37-38 | 38 |
| 15 | FC St. Pauli | 34 | 9 | 11 | 14 | 43-51 | 38 |
| 16 | Kaiserslautern | 34 | 6 | 18 | 10 | 31-37 | 36 |
| 17 | Eintracht Frankfurt | 34 | 7 | 11 | 16 | 43-68 | 32 |
| 18 | KFC Uerdingen | 34 | 5 | 11 | 18 | 33-57 | 26 |

# 1996-97 სეზონის კალენდარი (პირველი წრე)

### I ტური

16 აგვისტო

- ზანქტ პაული — ბაიერნი □:□
- მიონხენგლადბახი — არმინია □:□

17 აგვისტო

- ბოხუმი — დუისბურგი □:□
- შტუტგარტი — შალკე □:□
- ჰანზა — კარლსრუე □:□
- ფრაიბურგი — ვერდერი □:□
- მიუნხენ 1860 — ჰამბურგი □:□
- ლევერკუზენი — დორტმუნდი □:□

18 აგვისტო

- ფორტუნა — კიოლნი □:□

### II ტური

20 აგვისტო

- ჰამბურგი — ფრაიბურგი □:□
- ვერდერი — ჰანზა □:□
- კარლსრუე — შტუტგარტი □:□
- შალკე — მიონხენგლადბახი □:□
- არმინია — ზანქტ პაული □:□

21 აგვისტო

- დორტმუნდი — ფორტუნა □:□
- ბაიერნი — ბოხუმი □:□
- დუისბურგი — ლევერკუზენი □:□
- კიოლნი — მიუნხენ 1860 □:□

### III ტური

23 აგვისტო

- ზანქტ პაული — შალკე □:□
- ჰანზა — ჰამბურგი □:□

24 აგვისტო

- ბოხუმი — არმინია □:□
- მიონხენგლადბახი — კარლსრუე □:□
- შტუტგარტი — ვერდერი □:□
- ფრაიბურგი — კიოლნი □:□
- მიუნხენ 1860 — დორტმუნდი □:□
- ლევერკუზენი — ფორტუნა □:□

25 აგვისტო

- დუისბურგი — ბაიერნი □:□

### IV ტური

27 აგვისტო

- დორტმუნდი — ფრაიბურგი □:□
- ვერდერი — მიონხენგლადბახი □:□
- შალკე — ბოხუმი □:□
- ფორტუნა — მიუნხენ 1860 □:□

28 აგვისტო

- ჰამბურგი — შტუტგარტი □:□
- კარლსრუე — ზანქტ პაული □:□
- არმინია — დუისბურგი □:□
- ბაიერნი — ლევერკუზენი □:□
- კიოლნი — ჰანზა □:□

### V ტური

6 სექტემბერი

- მიონხენგლადბახი — ჰამბურგი □:□
- ფრაიბურგი — ფორტუნა □:□

7 სექტემბერი

- ბოხუმი — კარლსრუე □:□
- ზანქტ პაული — ვერდერი □:□
- ჰანზა — დორტმუნდი □:□
- ბაიერნი — არმინია □:□
- დუისბურგი — შალკე □:□
- ლევერკუზენი — მიუნხენ 1860 □:□

8 სექტემბერი

- შტუტგარტი — კიოლნი □:□

### VI ტური

13 სექტემბერი

- ვერდერი — ბოხუმი □:□
- ფორტუნა — ჰანზა □:□

14 სექტემბერი

- დორტმუნდი — შტუტგარტი □:□
- კარლსრუე — დუისბურგი □:□
- შალკე — ბაიერნი □:□
- არმინია — ლევერკუზენი □:□
- მიუნხენ 1860 — ფრაიბურგი □:□
- კიოლნი — მიონხენგლადბახი □:□

15 სექტემბერი

- ჰამბურგი — ზანქტ პაული □:□

### VII ტური

20 სექტემბერი

- მიონხენგლადბახი — დორტმუნდი □:□
- ჰანზა — მიუნხენ 1860 □:□

21 სექტემბერი

- ბოხუმი — ჰამბურგი □:□
- ზანქტ პაული — კიოლნი □:□
- შტუტგარტი — ფორტუნა □:□
- არმინია — შალკე □:□
- ბაიერნი — კარლსრუე □:□
- დუისბურგი — ვერდერი □:□

22 სექტემბერი

- ლევერკუზენი — ფრაიბურგი □:□

### VIII ტური

27 სექტემბერი

- კარლსრუე — არმინია □:□
- კიოლნი — ბოხუმი □:□

28 სექტემბერი

- დორტმუნდი — ზანქტ პაული □:□
- ჰამბურგი — დუისბურგი □:□
- შალკე — ლევერკუზენი □:□
- ფრაიბურგი — ჰანზა □:□
- მიუნხენ 1860 — შტუტგარტი □:□
- ფორტუნა — მიონხენგლადბახი □:□

29 სექტემბერი

- ვერდერი — ბაიერნი □:□

### IX ტური

4 ოქტომბერი

- ბოხუმი — დორტმუნდი □:□
- შტუტგარტი — ფრაიბურგი □:□
- ლევერკუზენი — ჰანზა □:□

5 ოქტომბერი

- ზანქტ პაული — ფორტუნა □:□
- მიონხენგლადბახი — მიუნხენ 1860 □:□
- შალკე — კარლსრუე □:□
- არმინია — ვერდერი □:□
- ბაიერნი — ჰამბურგი □:□
- დუისბურგი — კიოლნი □:□

### X ტური

11 ოქტომბერი

- ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი □:□
- მიუნხენ 1860 — ზანქტ პაული □:□

12 ოქტომბერი

- დორტმუნდი — დუისბურგი □:□
- ჰამბურგი — არმინია □:□
- ვერდერი — შალკე □:□
- კარლსრუე — ლევერკუზენი □:□
- ჰანზა — შტუტგარტი □:□
- კიოლნი — ბაიერნი □:□

13 ოქტომბერი

- ფორტუნა — ბოხუმი □:□

### XI ტური

18 ოქტომბერი

- ბოხუმი — მიუნხენ 1860 □:□
- ლევერკუზენი — შტუტგარტი □:□

19 ოქტომბერი

- ზანქტ პაული — ფრაიბურგი □:□
- მიონხენგლადბახი — ჰანზა □:□
- კარლსრუე — ვერდერი □:□
- შალკე — ჰამბურგი □:□
- არმინია — კიოლნი □:□
- დუისბურგი — ფორტუნა □:□

20 ოქტომბერი

- ბაიერნი — დორტმუნდი □:□

### XII ტური

25 ოქტომბერი

- ვერდერი — ლევერკუზენი □:□
- ჰანზა — ზანქტ პაული □:□

26 ოქტომბერი

- დორტმუნდი — არმინია □:□
- ჰამბურგი — კარლსრუე □:□
- შტუტგარტი — მიონხენგლადბახი □:□
- მიუნხენ 1860 — დუისბურგი □:□
- ფორტუნა — ბაიერნი □:□
- კიოლნი — შალკე □:□

27 ოქტომბერი

- ფრაიბურგი — ბოხუმი □:□

### XIII ტური

1 ნოემბერი

- ბოხუმი — ჰანზა □:□
- ბაიერნი — მიუნხენ 1860 □:□

2 ნოემბერი

- ზანქტ პაული — შტუტგარტი □:□
- ვერდერი — ჰამბურგი □:□
- არმინია — ფორტუნა □:□
- შალკე — დორტმუნდი □:□
- დუისბურგი — ფრაიბურგი □:□
- ლევერკუზენი — მიონხენგლადბახი □:□

3 ნოემბერი

- კარლსრუე — კიოლნი □:□

### XIV ტური

15 ნოემბერი

- მიონხენგლადბახი — ზანქტ პაული □:□
- კიოლნი — ვერდერი □:□

16 ნოემბერი

- დორტმუნდი — კარლსრუე □:□
- ჰამბურგი — ლევერკუზენი □:□
- შტუტგარტი — ბოხუმი □:□
- ფრაიბურგი — ბაიერნი □:□
- მიუნხენ 1860 — არმინია □:□
- ფორტუნა — შალკე □:□

17 ნოემბერი

- ჰანზა — დუისბურგი □:□

### XV ტური

22 ნოემბერი

- ბოხუმი — მიონხენგლადბახი □:□
- კარლსრუე — ფორტუნა □:□

23 ნოემბერი

- ზანქტ პაული — ლევერკუზენი □:□
- ვერდერი — დორტმუნდი □:□
- შალკე — მიუნხენ 1860 □:□
- არმინია — ფრაიბურგი □:□
- ბაიერნი — ჰანზა □:□
- კიოლნი — ჰამბურგი □:□

24 ნოემბერი

- დუისბურგი — შტუტგარტი □:□

### XVI ტური

29 ნოემბერი

- დორტმუნდი — ჰამბურგი □:□
- ზანქტ პაული — ბოხუმი □:□

30 ნოემბერი

- მიონხენგლადბახი — დუისბურგი □:□
- შტუტგარტი — ბაიერნი □:□
- ჰანზა — არმინია □:□
- ფრაიბურგი — შალკე □:□
- მიუნხენ 1860 — კარლსრუე □:□
- ლევერკუზენი — კიოლნი □:□

1 დეკემბერი

- ფორტუნა — ვერდერი □:□

### XVII ტური

6 დეკემბერი

- ბოხუმი — ლევერკუზენი □:□
- კარლსრუე — ფრაიბურგი □:□
- შალკე — ჰანზა □:□

7 დეკემბერი

- ჰამბურგი — ფორტუნა □:□
- ვერდერი — მიუნხენ 1860 □:□
- არმინია — შტუტგარტი □:□
- ბაიერნი — მიონხენგლადბახი □:□
- დუისბურგი — ზანქტ პაული □:□
- კიოლნი — დორტმუნდი □:□

ბუნდესლიგის მატჩების მიმოხილვების ნახვა AYETY TV-ს მაყურებლებს შეუძლიათ SAT-1-ის არხზე: პარასკევს — ჩვენი დროით ღამის პირველ საათზე, შაბათს — 21 საათზე, კვირას — 22 საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩოგბურთი



წინა კვირაში პროფ-ტურებზე ორ-ორი შეჯიბრი გაიმართა: დიდნი — ოკეანის გაღმა, აშშ-სა და კანადაში, მომცრონი — აქეთ, ევროპაში, სან-მარინოსა და ავსტრიაში.



# ძველებურადვე აგასი და სელეში



## ვაჟ პროფესიონალთა ასოციაციის (ატპ) პირველობა

მეისონი (ოჰაიო, აშშ)

თამაშები ჯეკ ნიკლაუსის სახელობის სპორტულ ცენტრში გაიმართა. თუ ვინაა ეს კაცი, ამავე გვერდზე, გოლფის განყოფილებაში წერია. ტურნირს უსპონსორა სადაზღვევო კომპანია „გრეით ემერიკენ ენშუარენსმა". ჯამური საპრიზო ფონდი 2,2 მილიონი დოლარი იყო. გამარჯვებულს 320 ათასი ერგო.

შეჯიბრში ატპ-ის კლასიფიკაციის მოწინავე ათეულის ცხრა წევრი ჩაება. არ თამაშობდა მხოლოდ გერმანელი ბორის ბეკერი, ვისაც ჯერაც ვერ მორჩენია უიმბლდონში ნატკენი მაჯა.

შარშანდელი ჩემპიონი ანდრე აგასი, ვინაც ატლანტის ოლიმპიადა მოიგო, კლასიფიკაციის თანახმად მე-6 ნომრად განეთესათ. მას უსწრებდნენ პიტ სამპრასი (აშშ, 1), თომას მუსტერი (ავსტრია, 2), მაიქლ ჩანგი (აშშ, 3), ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 4) და გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 5). მე-7 უიმბლდონის ჩემპიონი, ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი იყო, მე-8 — ამერიკელი ჯიმ კურიე, მე-9 — სამხრეთაფრიკელი ვეინ ფერერა, ხოლო მე-10 — შვედი თომას ენკვისტი.

მეთექვსმეტედფინალში აგასიმ დაამარცხა მაგნუს ლარსონი (შვედეთი, მსოფლიოს 62-ე ჩოგანი) 6:3, 2:6, 6:4, მუსტერმა — 217-ე ჩოგანი, პოლონელი ვოიცეხ კოვალსკი 6:1, 6:1. ატპ-ის პირველობის ორგზის გამარჯვებულ შვედს, 27-ე ჩოგან სტეფან ედბერგს 3:6, 6:4, 7:5 აჯობა 141-ე ჩოგანმა, იტალიელმა კრისტიანო კარატიმ, ვინაც პირველ წრეში მარკ როსე (შვეიცარია, 13) გააგდო.

ჩანგმა 6:2, 4:6, 6:3 დაამარცხა უკრაინელი ანდრეი მედვედევი, თოდ მარტინი (აშშ, 12) გააგდო გერმანელმა ბერნდ კარბახერმა (48-ე ჩოგანმა) 6:4, 4:6, 6:4, ხოლო უიმბლდონის ფინალისტი მალივაი ვოშინგთონი (აშშ, 11) წელის ტკივილის გამო უთამაშებლად დანებდა ამერიკელ ალექს ობრაიენს.

### მერვედფინალი (8. VIII)

**სამპრასი** — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 6:7 (5-7), 7:5, 7:6. წყვილად თამაშის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ავსტრალიელმა დიდი, 2 საათი და 56-წუთიანი ომის შემდეგ სამპრასთან მერვედაც წააგო.

**აგასი** — ობრაიენი 6:7 (5-7), 6:3, 6:0. აგასი რომ აგებდა, გამწარდა, ჩოგანი დაამსხვრია და ბოლოს კიდეც გაიმარჯვა.

**მუსტერი** — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 6:2, 6:2; კაფელნიკოვი — ქრის ვუდროფი (აშშ) 6:7 (5-7), 6:4, 7:5; ივანიშევიჩი — კარბახერი 3:6, 6:3, 6:3

დანარჩენი თამაშები წვიმამ შეაფერხა, მაგრამ მაინც დასრულდა: ჩანგი — კარატი 7:6 (7-3), 6:2; ფერერა — კურიე 7:6 (11-9), 6:7 (4-7), 6:2.; ენკვისტი — კრაიჩეკი 7:6 (9-7), 6:2

### მეოთხედფინალი (9. VIII)

**ენკვისტი** — სამპრასი 6:3, 6:3. სამპრასს წელს დიდი სლემის ერთი შეჯიბრიც ვერ მოუგია. ახლაც ხელი მოეცარა და მარცხი წინა წრის მარათონული მატჩის გამო გადაღლას დააბრალა. ენკვისტს მანამდე ვერასოდეს დაემარცხებინა ამერიკელი, თუმცა კი 6-ჯერ შეხვედროდა.

**აგასი** — კაფელნიკოვი 7:6 (7-1), 3:6, 6:3

**მუსტერი** — ფერერა 7:6 (7-4), 7:6 (16-14). თამაშმა 2 საათსა და 6 წუთს გასტანა. ფერერამ 9 მატჩ-პოინტი იხსნა. ამსიგრძე თაი-ბრეიქი წლევანდელ ტურზე აქამდე არ აღნუსხულიყო.

**ჩანგი** — ივანიშევიჩი 6:3, 7:5

### ნახევარფინალი (10. VIII)

**აგასი** — მუსტერი 6:4, 6:1. ანდრე და თომასი წელს დიდ სიტყვიერ შეხლა-შემოხლაში არიან. ამერიკელი ავსტრიელს უკიჟინებს, მარტო თიხაზე რომ თამაშობ, რანაირი მეორე ჩოგანი ხარო. ამაზე მუსტერი პასუხობს, ამერიკის ხისტ კორტებზე თამაში ნაავარიებ მუხლსა მტკენსო და იქეთ უტევს აგასის, თავად რალად არ ასპარეზობ ევროპის თიხის კორტებზეო.

აგასიმ 63 წუთში გაიმარჯვა და ბალანსიც გამოიკეთა 3:4. იგი მშვენივრად იგერიებდა მუსტერის მოწოდებებს, თავად კი მრავალფეროვანი დარტყმებით პასუხობდა.

**ჩანგი** — ენკვისტი 6:1, 2:6, 6:2. ჩანგმა ნავსი გატეხა — აქამდე ენკვისტთან სამივე თამაში წააგო.

### ფინალი (11. VIII)

**აგასი** — ჩანგი 7:6 (7-4), 6:4. ამავე შეჯიბრის შარშანდელ ფინალში ანდრემ 7:5, 6:2 დაამარცხა მაიქლი, ვისაც 1993 და 1994 წლებში გაუმარჯვია ამ ტურნირში და წინა ორ კვირაშიც მოეგო ვაშინგტონისა და ლოს-ანჯელესის ტურნირები. ჯამური ბალანსი აგასის სასარგებლოდ იყო 10:6, მაგრამ ჩანგს წელს სამი შეხვედრიდან ორში დაემარცხებინა მეტოქე.

ოლიმპიადაზე გამარჯვება მოხდენია ანდრეს. შარშან ლას-ვეგასელი პლეი-ბოი 11-ჯერ გავიდა შეჯიბრებათა ფინალში და 7 ტიტულიც მოიგო, მაგრამ რაც სამპრასთან წააგო აშშ-ის ღია პირველობის ფინალი, დაყვინა.

პირველი ხელის თაი-ბრეიქს ჩანგი 4-2 იგებდა, მაგრამ აგასიმ მერე ზედიზედ ხუთი ქულა მოიგო. მეორე ხელში მეტოქეებმა თითო ბრეიქი გაახერხეს, აგასიმ კი 4:4-ზელა იძალა. ჩანგმა ბოლო ქულის გათამაშებისას ბურთი ბადეს მოარტყა.

## კანადის ღია პირველობა

მონრეალი

სპონსორობდა „დიუმორიე", ვის სტადიონზეც ჩატარდა შეჯიბრი. ჯამური საპრიზო ფონდი იყო 926 250 დოლარი, გამარჯვებულის წილი — 200 ათასი.

თავიდან საინტერესო ის მოხდა, რომ იასპარეზა ჯენიფერ კაპრიატიმ. ამ 20 წლის ქალმა პირველ წრეში 6:4, 6:2 დაამარცხა რუმინელი ირინა სპირლეა (11), მეორეში — ლორი მაკნილი (აშშ), მაგრამ მესამე წრეში ისევ ეტკინა თეძო და ბულგარელ მაგდალენა მალეევასთან (6) 2:6, 2:3 რომ აგებდა, დანებდა, თუმცა კი იმედი ჰქონია, რომ იქეთა კვირაში სან-დიეგოში იასპარეზებს.

ფავორიტები მონიკა სელეში (აშშ, 1) და არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2) იყვნენ. ერთს მხარი აწუხებდა, მეორეს — იდაყვი, მაგრამ ფინალს მაინც მიაღწიეს.

მონიკამ დაამარცხა კატარჟინა სტუდენიკოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:0, ვისთანაც უიმბლდონში დამარცხდა; გაბრიელა საბატინი (არგენტინა) 7:6 (7-4), 6:1; მალეევა 6:4, 6:1 და 31-ე ჩოგანი იაიუკ ბაზუკი (ინდონეზია) 6:0, 6:3, ვინაც მეორე წრეში დაამარცხა ივა მაიოლი (ხორვატია, 3), მეოთხედფინალში კი ემი ფრეზერს (აშშ, 13) 2:6, 6:2, 7:5 მოუგო.

არანჩამ აჯობა ამანდა კეტცერს (სამხრეთი აფრიკა, 10) 7:5, 6:1; ფლორენსია ლაბატს (არგენტინა) 6:4, 6:4 და ქიმბერლი პოს (აშშ, 90-ე ჩოგანი) 6:0, 6:4, ვინაც მეოთხედფინალში მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 5) გააგდო 6:2, 6:3.

სელეშ — სანჩესის ფინალს 10 500 მაყურებელი დაესწრო. რაც მონიკა ჩოგბურთს დაუბრუნდა, მეტოქეები პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მანამდელ 12 თამაშში კი ესპანელს ერთადერთი მოეგო — 1992 წლის კანადის პირველობის ფინალში.

სელეშმა ამჯერად 6:1, 7:6 (7-2) გაიმარჯვა და შარშან მოპოვებული ჩემპიონობა შეინარჩუნა. ეს მისი კარიერის 37-ე ტიტულია, ფულის ჯამური მონაგარი კი 8,57 მილიონი გაუხდა. სანჩესმა ზედიზედ მეოთხედ წააგო ფინალი — მანამდე საფრანგეთის ღია პირველობაზე, უიმბლდონსა და ოლიმპიადაზე დამარცხდა, მაგრამ ათი წლის მანძილზე 11 მილიონზე მეტი მოუგროვებია, რითაც მხოლოდ ნავრატილოვასა და გრაფს ჩამორჩება.

სან-მარინოს ტურნირის ფინალში 21 წლის ესპანელმა ალბერტო კოსტამ (1), მსოფლიოს მე-18 ჩოგანი რომაა, საათსა და 37 წუთში დაამარცხა თანამემამულე ფელიქს მანტია (2) 7:6 (9-7), 6:3, თუმცა კი წვიმის გამო რომ შეწყდა ფინალი და მეორე დღესლა გაგრძელდა, პირველ ხელს 0:3 აგებდა.

მარია-ლანკოვიცში (ავსტრია), შტირიის პირველობის ფინალში, ფათერაკი შეემთხვა იტალიელ სანდრა ჩეკინის: მეოთხე ქულის გათამაშებისას მარცხენა ტერფის მყესები დაიწყვიტა, საშინელი კივილი აღმოხდა და დანებდა მასპინძელ ბარბარა პაულუსს.

# მძლეოსნობა

დამთავრდა ოლიმპიადა და განახლდა „გრან-პრის" სეზონი. [illegible] 200 და 400 მეტრზე სირბილის ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი მაიქლ ჯონსონი, ვისაც მუხლი გადაეღალა; ასევე ოლიმპიური ჩემპიონი, 1500 მეტრზე სირბილის კარუზო, ალჟირელი ნურადინ მორსელი, ვისაც ოლიმპიადის ფინალურ გარბენში მაროკოელი ალგერუჯის წაქცევამ კოფი ატკინა და ატლანტის კიდევ ერთი ჩემპიონი, ჩეხი შუბის მტყორცნელი იან ჟელეზნი, ვინაც ნოლიმპიადევს ჯორჯიაში დარჩა და „ატლანტა ბრეივზის" კეტბურთელებთან პიჩერად წაივარჯიშა, მაგრამ ისე უხეიროდ ტყორცნა ბურთი, რომ მკლავი დაიშავა და კეტბურთელებმაც გაისად გაზაფხულამდე დაითხოვეს.

## მონაკოში

ციურიხის ბადალი შეჯიბრი შაბათ საღამოს გაიმართა მონაკოში. იქ „გრან-პრი" მეათედ გათამაშდა. ჯამური საპრიზო ფონდი 1,6 მილიონი იყო, მსოფლიო რეკორდის დამყარება კი 50 ათასი დოლარი ღირდა. ამ ჯილდოს ხელი ვერავინ გამოკრა, თუმცა კი ატლანტის 40 მედალოსანმა იასპარეზა.

800 მეტრზე ირბინა კენიელმა ვილსონ კიპკიტერმა, ვინაც ამჟამად დანიაში ცხოვრობს, მაგრამ რადგანაც ჯერ ამ ქვეყნის მოქალაქე ვერაა, კენიის სახელით ასპარეზობა კი არა სურს, ოლიმპიადა გაუცდა. კიპკიტერი ბრიტანელი სებასტიან ქოუს მიერ 15 წლის წინ დამყარებული მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას აპირებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — 1.42,59.

100 მეტრზე ვაჟთა გარბენი მოიგო ატლანტაში გამარჯვებულმა, კანადელმა დონოვან ბეილიმ, ვინაც თქვა, ამიერიდან ყველა შეჯიბრის მოგება მწადიაო. მისი დროა 10,06. ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ნამიბიელი ფრანკი ფრედრიქსი არ ასპარეზობდა, ბეილიმ კი აჯობა ბრინჯაოსას — ტრინიდადელ ატო ბოლდონს და კიდევ თანამემამულე ბრუნი სურინსა და ამერიკელ დენის მიჩელს.

სეზონის საუკეთესო შედეგები გააჩერხეს რუსმა სვეტლანა მასტერკოვამ (800 მ — 1.56,04), გერმანელმა ქალმა შტეფი ნერიუსმა (შუბი — 69,42მ) და კენიელმა ჯოზეფ კეტერმა (3 000 მ წინალობებით). მასტერკოვამ და კეტერმა ატლანტაშიც გაიმარჯვეს.

ალინუსხა რამდენიმე რევანშიც. 400 მეტრზე ქალთა თარჯრბენში ამერიკელმა მსოფლიოს რეკორდსმენმა ქიმ ბათენმა (53,54 წამი) აჯობა ატლანტის ჩემპიონს, იამაიკელ დიონ ჰემინგზს. იგივე მოხდა ამავე დისტანციაზე ვაჟთა თარჯრბენშიც — ზამბიელმა სამუელ მატეტემ (47,82) აჯობა ამერიკელ ჩემპიონ დერიქ ათქინსს.


„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

**95 26 90**


# დოღი

# სიგარი უეცრად დამარცხდა



ეს ჭკვიანი ცხოველი ამერიკელი ულაყია, სახელად სიგარი. იგი ექვსი წლისაა და მერილენდის შტატშია დაბადებული. იქაურ დოღში სულ ერთხელ ურბენია, მაგრამ სხვაგან ისეთი წარმატება მოუხვეჭია, რომ 12 ოქტომბერს, ლორელ პარკში გასამართ შეჯიბრში სამონაწილეოდ ეპატიჟებიან. იპოდრომის მფლობელი ჯოზეფ დეფრენსისი ერთი მილიონი დოლარის გაღებასაც ჰპირდება, საოცნებო ცხენი როგორმე თავის სარბიელზე რომ იხილოს.

**სიგარი** კვირას კალიფორნიაში, დელმარში ასპარეზობდა ერთსა-და-მეოთხედ მილზე. გარბენში სულ ექვსი ცხენი მონაწილეობდა. ფავორიტ სიგარს რომ გაემარჯვა, წიდოვან იპოდრომებზე ზედიზედ მე-17 მოგება გაუხდებოდა, რითაც ერთით აჯობებდა ლეგენდარულ სითეიშენს, ვინაც ზედიზედ 16 შეჯიბრი 1948-50 წლებში მოიგო.

სიგარის სარეკორდო გამარჯვების სახილველად 41 ათასი მოსეირე მოგროვდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. გაიმარჯვა დჟარ ენდ გოუმ, ვისაც ალექს სოლისი მიაჭენებდა. ამ ცხენმა სიგარი სამნახევარი ტანით უკან მოიტოვა, თავად სიგარმა კი შვიდი ტანით აჯობა საიფონს.

სიგარის მწვრთნელი ბილ მოთია, ჟოკეი — ჯერი ბეილი. წელს, 27 მარტს მათ მსოფლიოს უმდიდრესი დოღი — დუბაის მსოფლიო თასის მოიგეს, ამჯერად კი მარცხი მეოთხე ადგილზე გასულ დრამატიკ გოულდს დააბრალეს, ვინაც მხედარმა ქორი ნაკატანიმ თავიდან ისე გააჭენა, რომ სიგარი რიტმიდან ამოაგდო. როგორც ყოველთვის, ეჭვი აქვთ, რომ ეს ტოტალიზატორის მაქინატორთა მითითებით გაკეთდა.

ასეა თუ ისე, სიგარმა იმ დღეს კიდევ 200 ათასი დოლარი მოაგებინა პატრონს და კარიერის მონაგარით 9 მილიონს გადააჭარბა. ასეთი ბედაური ამერიკაში აქამდე მხოლოდ ორი ჰყოლიათ.

## მთავარი სულ სხვა რამ იყო

**ფრედ** დასრულდა ინგლისი — პაკისტანის მეორე კრიკეტის ტესტი, წინა ხუთშაბათიდან ამ კვირის ორშაბათამდე რომ მიმდინარეობდა ლიდსში, ჰედინგლის ოვალზე. წინათ იქაური ზოლი ტაფელოსნებზე მეტად მომწოდებლებს სწყალობდა, ახლა კი პირიქით მოხდა. ოთხი შესვლიდან სამის დასრულებაც ვერ მოესწრო, რამაც მეოთხე დღესვე ცხადი გახადა, რომ ფრე გარდაუვალი იქნებოდა.

მთავარი მაინც სხვა იყო — ჯენთლმენური კრიკეტი. კიდევ ის, რომ ოთხმა მოთამაშემ ასეული გააზერხა, რაც ერთობ საპატიოა. ესენი არიან ინგლისელები ალეკ სთიუართი (170) და ნიკ ნაითი (113) და პაკისტანელები იჯაზ აჰმედი (141) და მოინ ხანი (105). გარდა ამისა, მოედანი ამ თამაშშიც გადაირბინა დედიშობილა ქალმა.

ანგარიში: პაკისტანი 448 და 242 (7 ბჭე) — ინგლისი 501. სერიას პაკისტანი 1-0 იგებს. ბოლო, მესამე ტესტი 22 აგვისტოს გაჩაღდება ლონდონის „ფოსტერს ოვალზე"

# გოლფი

# ერთობ მომრავლდნენ მეიჯორთა გამარჯვებულები

გოლფსა და ჩოგბურთს ბევრი რამა აქვთ მსგავსი: მოთამაშეთა სტატუსი, ჰონორარების სიდიდე, თასების მოყვანილობა, მთელს წელზე გაწელილი პროფესიული ტურები და კიდევ სეზონის ოთხი უმთავრესი შეჯიბრი, ჩოგბურთის დიდი სლემის ანალოგიური რომაა და გოლფის ტერმინოლოგიით „მეიჯორი" ანუ უმთავრესი ჰქვია.



ბრუქსი „ვონამეიქერის თასს" კოცნის

ბოლო წლებია, ამ მეიჯორებზე დიდი ამბები ხდება. ყველაზე უცნაური ამათგან ისაა, რომ მას სულ სხვადასხვა ხალხი იგებს. თავად განსაჯეთ: ბოლო ოთხი წლის მანძილზე (1993-96) ოთხ-ოთხჯერ გაიმართა აშშ-ის საოსტატო, აშშ-ის ღია, ბრიტანეთის ღია და აშშ-ის ასოციაციის ჩემპიონატები, ე.ი. სულ 16 შეჯიბრი მოეწყო, მათ გამარჯვებულთა სიაში კი 15 მეგოლფეა. ერთადერთი გამონაკლისია დიდი ზიმბაბველი ნიკ პრაისი, ვინაც 1994 წელს ბრიტანეთის პირველობაც მოიგო და აშშ-ის ასოციაციისაც.

**ტრადიციულად**, წლის ბოლო მეიჯორი აშშ-ის ასოციაციის პირველობა იყო. მას, რიგით 78-ეს, წინა კვირაში, 8-11 აგვისტოს, პირველად უმასპინძლა კენტუკის შტატის ქალაქ ლუისვილში ამ ათი წლის წინ გაშენებულმა ვალჰალას გოლფ-კლუბმა, რომლის 7 144-იარდიანი გზა ლეგენდარული მოთამაშის, ჯეკ ნიკლაუსის დაპროექტებულია.

ვალჰალაში შეხამებულია ცნობილი ამერიკული და ევროპული გზების საუკეთესო იდეები, გზის გავლის ნორმა (სანიმუშო შედეგი) კი 72 დარტყმაა. აშშ-ის ასოციაციის პირველობა ამ კლუბში შემდეგ ჯერზე 2000 წელს გაიმართება.

წელს ლიდერები ლამისაა ყოველი წრის შემდეგ იცვლებოდნენ. თავად ნიკლაუსმა ცუდად ითამაშა, ცნობილ მოთამაშეთაგან კი პრაისმა, გრეგ ნორმანმა და სთივ ელქინგთონმა (ორივე ავსტრალია), თომ ვოთსონმა და ლი ჯენზენმა (ორივე აშშ) გამოიჩინეს თავი, მაგრამ გაიმარჯვეს არა მათ, არამედ 34 წლის ტეხასელმა მარკ ბრუქსმა, ვინაც აქამდეც ცნობილი მეგოლფე იყო, წელს ტურზე უკვე ორ შეჯიბრში გაემარჯვა, მაგრამ მეიჯორი ვერაფრით მოეგო.

ბრუქსმა გამარჯვებისათვის 430 ათასი დოლარი მიითვალა და მეიჯორებში შეურჩევლად მონაწილეობა ათი წლით დაიბევა. ამ კაცმა ბოლო, მეოთხე წრეში იშვიათი სიდინჯე გამოიჩინა, თუმცაკი გამარჯვებაში მეტოქის სიტუტუცეც დაეხმარა.

საქმე ისაა, რომ მასპინძელმა კენ პერიმ 277-ით ანუ ნორმაზე 11-ით უკეთესით რომ დაასრულა შეჯიბრი, კლუბის ნაცვლად ტელე-ჯიხურში მიბრძანდა და კომენტარში ჩაება. პერი თან შეჯიბრს ადევნებდა თვალს და თან მაყურებლებს მოუთხრობდა, თუ როგორ ეფუშებოდათ გეგმები მის უმთავრეს კონკურენტებს. ბოლოს ერთი მათგანილა დარჩა — ბრუქსი. ამან ბოლო, მე-18 ორმოზე სასწაული ჩიტუნია (ნორმაზე 1-ით უკეთესი შედეგი) გააზერხა და პერის დაეწია.

დაინიშნა პლეი-ოფი. პირველ ორმოდ ისევ მე-18 იყო. ბრუქსმა ისევ ჩიტუნია შეიძლო, რიტმიდან ამოვარდნილმა პერიმ კი ბურთი მწვანეს (ორმოს სიახლოვეს იდეალურად გაკრეჭილ ბალახს) ვერ უწია და ამით წირწამხდარმა თამაში ალარც კი დაასრულა.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29